# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  პარასკევი, 13 ოქტომბერი 1995 № 66 (204)  ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11 ოქტომბერი – გამარჯვების დღე-სასწაული






გია ახალაძის ფოტოები

## საქართველო — 2 საქართველო — 77
## ბულგარეთი — 1 ბოსნია — 66



1995-96 წლების ფირა-ს პირველობის „ბ1" ჯგუფი

## საქართველო — გერმანია

**კვირა, 15 ოქტომბერი. ეროვნული სტადიონი. დასაწყისი 15 საათზე**

საერთაშორისო საბურთაო კვირეული ზეგ, კვირას დასრულდება ეროვნულ სტადიონზე, სადაც საქართველოს რაგბის ნაკრები გერმანიისას ეთამაშება. ამ მატჩით დიდი რაგბი ოთხი წლის შემდეგ უბრუნდება თბილისს, საზოგადოდ რაგბი კი — 27 წლის შემდეგ, ქვეყნის უპირველეს სტადიონს.

რაგბის გამო იხილეთ მერვე გვერდი



სამ-სამი სამი ქართველის წინაღმდეგ ბრძოლა ლეჩკოვს კი არა, მარადონასაც გაუჭირდებოდა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. VII ჯგუფი

11 ოქტომბერი, თბილისი, 40 000 მაყურებელი

**საქართველო 2:1 ბულგარეთი**

1. ზოიძე
3. კუდინოვი
5. ჩიხრაძე 4. შელია 7. ნემსაძე
2. ლუდუშაური
6. გოგიჩაიშვილი
10. ქინქლაძე 8. ჯამარაული
9. ა. არველაძე 11. შ. არველაძე

9. პენევი 7. კოსტადინოვი
8. სტოიჩკოვი
10. ბალაკოვი 9. ლეჩკოვი
6. სირაკოვი
4. ცვეტანოვი 5. იანკოვი 2. კირიაკოვი
3. ივანოვი
1. მიხაილოვი

შეცვლები: 46 — ა. არველაძე — 14. ყაველაშვილი
51 — სირაკოვი — 15. ბორიმიროვი
58 — ივანოვი — 16. ჩოლაკოვი
74 — ჯამარაული — 13. კილასონია
82 — ლუდუშაური — 15. ბერაძე

1:0 შ. არველაძე (1)
2:0 ქინქლაძე (47 პ)
2:1 სტოიჩკოვი (87)

გაფრთხილება: ნემსაძე (26), გოგიჩაიშვილი (43), მიხაილოვი (47), შელია (60)

კუთხური — 5:8 (4:4), კარში დარტყმა — 13:12 (5:5), ჯარიმა — 24:5 (12:3), ოფსაიდი — 4:3 (3:2)

მსაჯები: მაიერი, პოპოვიჩი, ფელდერი (შვეიცარია)

# ხუთ მოგებას ექვსი სჯობს

ამასწინეებზე, ადრიანად გალვიძებულს უპირველესად რატომღაც რადიომიმღების ჩართვა მომესურვა. სტუდიაში ფეხბურთის მავანი სპეციალისტი მიეწვიათ და მეც იმ დროს მივუსწარი, სიტყვა ქართული ფეხბურთის ბოლოდროინდელ წარმატებებზე რომ ჩამოვარდა.

დიდი მიღწევები გვქონდაო, რესპოდენტმა — ჩემი ვარაუდით, ერთ-ერთი ქართული კლუბის მწვრთნელმა, ხმაზე რომ ვერ ვიცანი: ევროტურნირებზე სამი გუნდით რომ გვათამაშეს, უკვე თავისთავად წარმატებაა, აბა რა არის; რა ვუყოთ, რვიდან ექვსი თამაში რომ წავაგეთ, კატასტროფა ხომ არ მომხდარაო; ჩვენმა ნაკრებმაც ძლიერი გუნდის სახელი დაიგდო ევროპაში და გერმანიასთან 1:4 ვის აღარ წაუგია — თავის დროზე თვით საბჭოთა კავშირის ნაკრებსაცო.

11 ოქტომბრის საღამოს გული დამწყდა, ის რადიოგადაცემა ბულგარეთთან გამარჯვებას რომ ვერ მოუსწრო. აქამდე ჩვენი უდიდესი მიღწევა 16 ნოემბ ის 5:0 იყო, რომელსაც ზურგს უელსის კიდევ ერთი და ალბანეთის ორჯერ დაჩოქება უმაგრებდა, მაგრამ მეტი გვეწადა — ნეტარსახსენებელი საბჭოთა კავშირი მოვიგონოთ კიდევ ერთხელ — ჩვენი ყოფილი საბჭოელი მეზობლებიდან უელსი რაა, უკრაინამ ხორვატია სძლია, ბელარუსმა კი სულაც ჰოლანდია გააგორა. დღესდღეობით, მომავალ დიდ წარმატებამდე, ჩვენ სატრაბახო მეტი გვაქვს — თვით მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გავატყავეთ, დიმიტარ პენევმა როგორც არ უნდა დაგვიკნინოს მოგება — პირწმინდად გავატყავეთ, ერთი ბეწო ხორციც რომ არ აგვიყოლიებია ისე და ბარაქალა ჩვენ! აწი იქნებ უფლებაც გვქონდეს, მთავარ მონადირეს მომავალ დიდ წარმატებად უფრო გლობალური ამოცანის გადაჭრა ჩავუთვალოთ და არა ცალკეული, თუნდაც ბრწყინვალე გამარჯვებები.

ბოლო ხანს თვითგვემა ლამის წესად გვექცა, ბულგარელთა სტუმრობამ კი ერთი სარგებელიც მოგვიტანა: ნათლად დაგვანახა, რომ სხვადასხვა ჯურის ჩიტირეკიები თუ მკვეხარები სხვა ქვეყნებშიც მრავლად ყოფილან. აგერ ხრისტო სტოიჩკოვი ავიღოთ: ესპანეთ-იტალია მოუვლია, მაგრამ პარიზშიც რომ წაიყვანო, ალბათ ისეთივე ხიხოდ დარჩება, როგორც მშობლიურ პლოვდივში იყო. ბულგარელთა მწვრთნელმა დიმიტარ პენევმა კი იმისთანები იკადრა, კაი ქართველ ხეპრესაც რომ შეშურდებოდა: ჯერ კი გვაქო თავაზიანი ღიმილის თანხლებით, მერე კი გუდასაც მოხსნა პირი — ორი მთავარი მცველი ხომ მაკლდა, კოსტადინოვს რომ ძელები არ ეზანზარებინა, რას დაგვაკლებდით, იმასაც ვნახავდი და თქვენი პენალტიც სანახევროდ ჩემი მცველების, სანახევროდ კი მსაჯის ნამუსზე იყო, თორემ იმ თქვენ გოგიჩაიშვილზე ნაწყენი სულაც არა ვარ, კაცი თავისთვის სადღაც გარბოდაო.

მრავლისმომსმენი საპრესკონფერენციო დარბაზი აქ უკვე იგივეს გაგონებასაც ელოდა, რაც ბარეორისგან მოუსმენია, მაგრამ პენევმა ენას კბილი დააჭირა — პირველი გოლის ფაქტორზე ყურადღებ ს გამახვილება ევროპაში მაინცდამაინც კარგ ტონად არ უნდა ითვლებოდეს — არადა, ბულგარელი თავის ალბანელ კოლეგა ნეპტუნ ბაიკოსაგან განსხვავებით, მარტო პირველი კი არა, ორივე ტაიმის საწყის წუთებშვე ჩავდეს მსგავს მდგომარეობაში — ჯერ, ზუსტად ისევე, როგორც ალბანელებთან, შოთამ ჯამარაულის პასი მიიღო და მიხაილოვსაც იგივე დღე აყარა, რაც სტრაკოშას, შესვენების შემდეგ გოგიჩაიშვილს საარაკო დრიბლინგის ბადალი კი ეროვნულ სტადიონზე ალბათ კარგა ხანია არავის უნახავს.

მერე გამოვიდა ჩივაძე. საკუთარი დანაკლისი ღირსეულად, გაკვრით ახსნა, მსაჯობაზე ძვირი კი არც აქამდე დასცდენია და არც იმ საღამოს. ეგ იყო, ბულგარელები რომ გაისტუმრა, შინაურებს მოგვადგა და იმის ახსნა დაგვიწყო. როგორ უნდა ვიმუშაოთ, როგორ უნდა ვწეროთ საფეხბურთო რეცენზიები და როგორ უნდა გამოვიჩინოთ მეტი პროფესიონალზმი. სასახელო გამარჯვებით გულმოცემულ მწვრთნელთან კამათს ახლა არ შევუდგებით, კარგი განწყობა არც ჩვენი გვინდა გავიფუჭოთ და არც მისი — ნაკრებმა ხომ ისე კარგად ითამაშა, როგორც არასოდეს.

ჩივაძე საკუთარ გასაჭირსაც შეეხო: ფეხბურთელი ფიზიკურად მოუმზადებელი რომ ჩამომივა, მე რა ვქნა, ოთხ დღეში რა მოვუხერხო, აგერ, ხომ ხედავთ, ბიჭებმა როცა ძალიან მოინდომეს, რამდენი შესძლებიათო...

ჟინი და თავდადება იმ დღეს მართლა არნახული ვიხილეთ, მაგრამ თამაშს, და ისიც ბულგარელებთან, მარტო ამით, ცხადია, ვერ მოიგებ. მით უფრო, თუ გამძლეობაში მოიკოჭლებ: ფეხბურთელების ოსტატობასთან ერთად, ცხადია, გამარჯვებაში დიდი წილი მწვრთნელის გამჭრიახობასაც უდევს.

მთავარი სწორედ არჩეული ტაქტიკა იყო. ბულგარელები უფრო საშიშნი სწორედ სტუმრად არიან — კონტრშეტევებისას ისე გრძნობენ თავს, როგორც თევზი — წყალში, ჰოდა, ჩვენებს მთელი თამაში თავქუდმოგლეჯილ შეტევებში კი არ გაუტარებიათ — როცა საჭირო იყო, საკუთარ ნახევარზეც ჩაიკეტებოდნენ, ისე, რომ ტყუპებსაც დაიხმარებდნენ ხოლმე, ბურთსაც გონივრულად იგერიებდნენ და კონტრშეტევაშიც მწყობრად გადადიოდნენ. უბურთოდ თამაშის თუ ბურთის ჯგუფური ართმევის, მოედნის ცენტრის სწრაფად გავლის დაუნახაობაც შეუძლებელი იყო.

კიდევ ერთი ნიშანდობლივი დეტალი. ჩიხრაძე თავიდანვე სტოიჩკოვს აეკიდა, შელია — პენევს და ორივე საიმედოდაც დაიკეტა, მაგრამ ერთი ბზარი ჩვენს დაცვას თითქოს მაინც გაუჩნდა: ბალაკოვმა ჩვენი მარცხენა ფრთა ამოიჩემა და სწორედ მისი გრძელი პასების შემდეგ იყო, კოსტადინოვმა ორჯერ ძელი რომ შეგვირყია. ჩივაძემ იქით სასწრაფოდ ნემსაძე გადაისროლა, ამან კოსტადინოვი ჩაიბარა, ბრწყინვალედ ითამაშა და რეალური საფრთხე, ბოლო წუთებს თუ არ ჩავთვლით, ჩვენს კარს აღარც დამუქრებია, ბულგარელებისას კი, იცოცხლეთ, იმდენი — შესვენებამდე შოთამ მეკარესთან პირისპირ კიდევ ერთი გასვლა ვერ გამოიყენა, მეორე ტაიმში რამდენჯერმე ყაველაშვილმა ვერ ივარგა და თუ პენევს მაინცდამაინც თავისიანების ის ორი ძელს გარტყმული ბურთი დააწვა გულზე, რა გვენაღვლება, ძელს ერთხელ კილასონიამაც მოახვედრა და მაგ მაჩვენებლით 1:2 წაგებასაც ვაღიარებთ.

როგორც ხედავთ, არავის არაფერს ვუკარგავთ. არც გერმანიასთან თამაშს ვახსენებდით ერთი თვის შემდეგ, თავად მწვრთნელს რომ არ ეხსენებინა — ნიურნბერგში დასანანი გოლები გაგვდიოდაო. შენს კარში გატანილი ყველა გოლი დასანანია, მიზეზი კი, ვერავინ დამარწმუნებს, რომ დაცვის აბსურდული განლაგება არ იყო — თორემ როცა კუდინოვს თავისი ასაკისა და გამოცდილების შესაფერისი,



გოგიჩაიშვილი ივანოვს გასცდა და მალე მეკარე მიხაილოვს შეეყრება

ლიბეროს ადგილი მივუჩინეთ, ცხადაძის არყოფნაც ლამის შეუმჩნეველი გახდა.

მწვრთნელისთვის არც რისკი უნდა იყოს უცხო. მეკარის შეცვლაც, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული, მაინც სარისკო საქმეა. ზოიძეს ერთი შეცდომაც რომ დაეშვა, სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად ავტეხდი ერთ ამბავს, რა დროს ეგეთები იყო-მეთქი, მაგრამ გაამართლა და ახლა კრინტსაც ვერ დავძრავ, ოღონდ, გერმანიასთან გუჯაბიძის, ფაქტიურად გასაწირად გამოყვანას თუ ვერ მოვიწონებ, ვერავინ შემედავება — არ გამართლდა რისკი და რას იზამ...

მოკლედ, შეცდომები ყველას მოსდის და არც ამის სიტყვიერი აღიარებაა ადვილი, ჩივაძემ კი ორჯერ, მოლდოვასთან და გერმანიასთან წაგებების შემდეგ, საქმით გვანახა, წაგებიდან სწორი დასკვნების გაკეთება რომ შეუძლია.

ერთითვისწინანდელ მატჩთან კიდევ ერთ პარალელს გავავლებ და ვიკმარებ. ნიურნბერგული კატასტროფის ღამეს კოლეგებმა კიდევ რამდენიმე თამაში ვიხილეთ და შეგვენანა, იმხელა განსხვავება აღმოვაჩინეთ ჩვენსა და ბევრ სხვა გუნდს შორის. ბულგარეთთან მატჩის შემდეგ კი შესანანებელი, ვგონებ, ჩვენს უცხოელ კოლეგებს უნდა გასჩენოდათ...

კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს ვახსენებთ. ორივე ფრთაზე ყველაფერი რიგზე იყო: ლუდუშაურმა პირველ ტაიმში შეაწუხა გვარიანად მეტოქე, მეორე ნახევარი და მარცხენა ფრთა კი გოგიჩაიშვილისა იყო, რომლის უსწრაფეს დრიბლინგს უზადო ტექნიკაც ამკობდა.

ტექნიკით ქინქლაძე და ჯამარაული ქართველებშიც გამოირჩევიან და მათ ნიჭს გუშინწინ ასპარეზიც მიეცა. ინგლისური ფეხბურთის მკაცრ ჩარჩოებს შეჩვეულმა ქინქლაძემ გაილაღა და მის რამდენიმე ელვისუსწრაფეს პასს თვალი ვერავინ ჰკიდა, ეგ იყო, რამდენჯერმე ისე თვალისმომჭრელად დააპირა თამაში, გადაამლაშა კიდეც. ტოლი არც ჯამარაულმა დაუდო, ოღონდ უფრო რაციონალურად მოქმედებდა.

კიდევ ერთი დეტალი. ადრეც დაწერილა, გამოუვალ მდგომარეობაში ბურთის მეკარისათვის მოგერიება ჩვენში უცხო ხილი რომ იყო, გუშინწინ კი ეს ხერხი ქართველი მცველების შესრულებითაც ხშირად ვიხილეთ, ის კი არა და, ზოიძე, მგონი, ზედმეტადაც შეაწუხეს.

რაციონალიზმი ვახსენეთ და ცოტა კრიტიკასაც გამოვურევთ. თუ აუცილებელი არაა, არაა საჭირო, მეტოქეს ბურთი მაინცდამაინც ფეხებსშუა გაუტარო; პარტნიორს ბურთი მკერდით მიაწოდო; მეტოქის ნახევარზე, როცა კართან მიახლოების საშუალება გაქვს, „კვადრატის“ თამაში და პამპულაობა გამართო; ანდა თუ კარში დარტყმის საშუალება გაქვს, ბურთის მაინცდამაინც მეკარისთვის თავზე გადაგდება მოინდომო. კი, არტისტიზმი მოგვდგამს, მაგრამ თუ ვითარებისთვისაა საჭირო, უფრო მარტივი და პრაქტიკული გაგრძელების მიღებაც არ უნდა ვითაკილოთ. ამგვარი საფეხბურთო კეკლუცობა ჩვენების თამაშში ზოგჯერ გამოსჭვივოდა — ჰეი, თქვენ, ბალაკოვო, ლეჩკოვო თუ ხრისტო! ნახეთ, რა ბიჭები ვართ, — სადაც თქვენი დაიკვეხნოთ, იქ ჩვენიც არ დაგავიწყდეთ! როცა შეგიძლია, 3:0 მოიგო, დასანანია, 2:1-ს დასჯერდე და ბოლო წუთებში სარაგბოდ და საბურთაოდ გაიხადო საქმე.

ბულგარეთთან ისტორიული მოგება ვიგემეთო, ბრძანა ჩივაძემ. სავსებით ვეთანხმებით, ოღონდ, ცხადია, ჯგუფში დაკავებულ მესამე ადგილს ისტორიულ მიღწევად ვერ ჩავთვლით. ჯერ ერთი, ბულგარეთთანაც რომ წაგვეგო და მოლდოვაშიც, მესამე ადგილი მაინც ჯიბეში გვქონია, მეორეც — ჯერ მოლდოვასთან გამარჯვება გვჭირდება და შეფასებებიც მერე გამოვიტანოთ. ისე, დებიუტანტისთვის არც მესამე ადგილია ურიგო შედეგი.

კიშინიოვში ორგაფრთხილებიანი ნემსაძე და შელიაც დაგვაკლდებიან (ნიურნბერგში გაფრთხილება შელიას მიუღია და არა გოგიჩაიშვილს), მაგრამ მაინც უნდა მოვიგოთ. მოლდოველთათვის სამაგიეროს გადახდას არ ვითხოვთ, უბრალოდ, სასიამოვნო იქნება, შეჯიბრს დადებითი ბალანსით თუ დავამთავრებთ და, ისედაც, ხუთ გამარჯვებას ექვსი სჯობს.

არადა, თუ მოვიგეთ, იმასაც იტყვიან, მეშვიდე თამაშის მოგებაც ხომ შეგვეძლოო და მოლდოვასთან შარშანდელ წაგებასაც გაიხსენებენ სინანულით. არაა საჭირო: იმ მარცხს ჭკუისსასწავლი ბევრი უნდა მოეტანა ჩვენთვის და თუ სამომავლოდ გამოვიყენებთ, შესანანებელი ისედაც ბევრი გვაქვს.

თუ გახსენებაა, უელსთან და ბულგარეთთან გამარჯვებები გავიხსენოთ და მომავლის იმედით აღვივსოთ.

მამუკა ჩიხლაძე

გია ახალაძის ფოტოები

თამაშამდე

# ბულგარეთი გერმანიაზე მაგარია!

ბულგარელები რომ მოსაგებად იყვნენ ჩამოსულები, „კოჭებში ეტყობოდათ" — არც ქცევით და არც ლაპარაკში ამას არ მალავდნენ. თამაშის წინა დღეს, ვარჯიშზე, მათი მთავარი მწვრთნელი დიმიტარ პენევი მოვიხელთე, თუმცა იგი საკმაოდ სიტყვაძუნწი იყო. მომავალი მატჩის თაობაზე რომ ვკითხე, აუცილებლად უნდა მოვიგოთო, ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე მიპასუხა. იორდან ლეჩკოვს კი კახი ცხადაძის დახმარებით ვესაუბრე.

— არამარტო ძალიან მინდა და დიდი იმედი მაქვს, მწამს კიდეც, რომ მოვიგებთ.

**— პირველი მატჩის შემდეგ ქართველებზე კეთილი სიტყვები არ დაგიშურებიათ. ახლანდელი თავდაჯერებული ტონი კი მაფიქრებინებს, რომ ეს მხოლოდ ქათინაურები იყო...**

— მაშინაც გულით ვამბობდი და ახლაც ასე ვფიქრობ: თქვენ ტექნიკური და პერსპექტიული ნაკრები გყავთ. მაგრამ დღეს ბულგარეთი ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია. ვგრძნობ, რომ კარგ ფორმაში ვართ და ნებისმიერ მეტოქესთან შეხვედრისას მოგებაზე ვფიქრობთ. ასევეა თქვენთან თამაშის წინაც.

**— დღეისათვის გერმანელებზე ძლიერი გუნდი გყავთ?**

— უეჭველად, ორი აზრი არც არსებობს.

სოფიაში ჩვენი მოთამაშეებისგან ხიფათნაწვნევი ბულგარელთა მეკარე ბორისლავ მიხაილოვი სხვებზე ფრთხილი აღმოჩნდა.

— ძალიან ძნელი თამაში იქნება. მიჭირს კიდეც იმის წარმოდგენა, როგორი შედეგით წავალთ თბილისიდან — ბოლო ერთი წლის მანძილზე სამჯერ შევხვდი ქართველებს — ერთხელ ნაკრებს, ორჯერაც „დინამოს" უეფას თასზე... ძლიერი, ტექნიკური ნაკრები და ფეხბურთელები გყავთ, ასეთებთან თამაში კი ყოველთვის ძნელია.

სტუმართა ცენტრალური მცველი ზლატკო იანკოვი და „ბავარიის" თავდამსხმელი ემილ კოსტადინოვი „სანიმუშონი" იყვნენ თავიანთი ოპტიმიზმით.

იანკოვი: ვიცით, რომ რთული თამაში გველის, მაგრამ, იმედია, მოვიგებთ. სოფიაში თქვენებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ტექნიკურ, მეტოქისთვის რთულ



ემილ კოსტადინოვი

ფეხბურთს თამაშობენ. განსაკუთრებით მომეწონა ქინქლაძე, არველაძე, ცხადაძე. ამ უკანასკნელის არყოფნა, ალბათ, ძლიერ დაგეტყობათ.

კოსტადინოვი: მოგების იმედით ჩამოვედით, იმის მიუხედავად, რომ სოფიაში თქვენების ძალა ვნახეთ. სავსებით შესაძლებელია, თამაში თანაბარიც იყოს, რადგან უცნაური და პერსპექტიული გუნდი გყავთ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

**— ინგლისში მეტოქეებად ვინ გესახებათ?**

იანკოვი: ფინალამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ვინ იცის, რა მოხდება მანამდე, თუმცა, უკვე ცხადია ინგლისელთა, გერმანელთა და იტალიელთა ამბიციები.

კოსტადინოვი: წინასწარ ვერ განჭვრეტ, მომავალი წლის ზაფხულამდე რომელ გუნდში რა ცვლილება მოხდება. ასე რომ, პროგნოზისგან თავს შევიკავებ.

მერაბ მამულაშვილი

თამაშის შემდეგ

# საქართველო თავის სტილს ამკვიდრებს

ნამდვილად საოცარი იყო, რა დღე აყარა ტრავმამოუშუშებელმა გოჩა ჯამარაულმა საქვეყნოდ სახელდაგდებულმეტოქეებს. — ძალიან გახარებული ვარ, ვფიქრობ, ღირსეულადაც გავიმარჯვეთ. დიდი მადლობა მაყურებელს ასეთი მხარდაჭერისთვის. სიხარულისგან საუბარიც კი მიჭირს.

**— პირველი გოლი შენი გადაცემით გავიდა...**

— სამ მეტოქეს შორის ვიდექი, დავინახე, რა კარგად გაიხსნა შოთა, გოლიც მისი დამსახურებაა.

საწყალ ილიან კირიაკოვს იმ დღეს მოსვენება არ ეწერა კახი გოგიჩაიშვილისგან:

— რა უნდა გითხრა? მე მგონი, თამაშითაც ვაჯობეთ და დამსახურებულადაც მოვიგეთ. ყველამ თავისი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. თავი არავის დაუზოგავს.

**— როცა პენალტი გაახერხე, მგონი, ნახევარ ბულგარეთს გაექეცი, მიხაილოვმაც კიძლივს შეგაჩერა...**

— პენალტი აშკარა იყო, შევნიშნე, დერეფანი ცარიელი იყო და შევვარდი, მეკარეს ჩემი წაქცევის გარდა არაფერი დარჩენოდა.

შოთა არველაძე: — ძალიან მიხარია, რომ ჩვენს ქომაგებს ბედნიერი ოთხმოცდაათი წუთი ვუძღვენით. ისიც დავანახეთ, რომ თამაშიც შეგვიძლია და გრანდების დამარცხებაც.

**— გოლზე რას იტყოდი?**

— არაფერს, ჩვეულებრივი გოლი იყო. ჯამარაულმა ისეთი პასი მომცა, ძნელი ის უფრო იყო, ვერ გამეტანა.

**— არადა, ასეთივე ბურთი „ტიროლთან" და გერმანელებთან ვერ გაიტანე...**

— ხომ იცი, ბედი ხან გაგიღიმებს, ხანაც ზურგს შეგაქცევს. იმედია, ამიერიდან ჩვენსკენ შემობრუნდება.

ჩვენი ტრავმირებული კაპიტანი კახი ცხადაძე ბავშვივით გახარებული ჩანდა:

— ყველამ ბრწყინვალედ ითამაშა. ასეთი ფეხბურთი, მგონი, უელსთანაც არ გვიჩვენებია. დღეს ნამდვილი გუნდური თამაში გამოგვივიდა. ინდივიდუალურად ადრეც კარგად ვთამაშობდით, გუნდურში კი ცოტა მოვიკოჭლებდით. წინაც და უკანაც ორგანიზებულად ვმოქმედებდით.

**— ალბათ უკვე წარმოიდგენდი, როგორ გაახარებს გერმანელებს ბულგარელთა მარცხი. და ჩვენი გამარჯვება...**

— სხვათა შორის, ნიურნბერგში თამაშის შემდეგ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა მითხრა, ნამდვილად მშვენიერი ნაკრები გყავთო, მერე კი ხუმრობით ესეც დასძინა, ბიჭებს გადაეცი, ჩვენი ხათრით ბულგარელებს მოუგონო. ახლა რომ ჩავალ, თუ ვნახავ, ვეტყვი, თხოვნა შეგისრულეთ-მეთქი.

**— კახი, რამდენ ხანში ჩადგები ფორმაში?**

— მიჭირს მაგის თქმა, ჯერ მხოლოდ ორი თვე გავიდა, რაც ტრავმა მივიღე. ექიმები მეუბნებიან, ერთ თვეში სირბილს დაიწყებო. საერთო ჯამში ექვსი თვე გამიცდება და, ალბათ, თებერვლისთვის შევუდგები ვარჯიშს.

**— წელს „აინტრახტი" საკმაოდ ცუდად გამოდის. რა არის მიზეზი?**

— მიზეზი მრავალია. პირველი ის, რომ ბევრი მოთამაშე დაშავდა — მე, ვებერი, ფალკემაიერი... შვედმა ექსტრიომმა, რომელიც სეზონის წინ იყიდეს, ახლახანლა დაიწყო თამაში.

**— ლაპარაკია შენს „დინამოში" დაბრუნებაზე...**

— ამის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ მე და მერაბ ჟორდანიამ. „დინამოს" გაძლიერებით ჟორდანიას გარდა დაინტერესებულია ქვეყნის ხელმძღვანელობაც — არის შევარდნაძის მხარდაჭერა და ძლიერი გუნდის შექმნის სურვილი. ახლა „აინტრახტში" მინიმუმ სამწლიან კონტრაქტს მთავაზობენ უკეთესი პირობებით. მერაბს შევპირდი, რომ ჯერჯერობით გერმანელებთან კონტრაქტს მარტამდე ხელს არ მოვაწერ. მაგრამ, უპირველესად, „დინამოში" უნდა შეიქმნას პირობები. ილუზია არ უნდა იყოს, თუ იქნება პირობები, იქნება გუნდი. ასეთ შემთხვევაში ჩემს დაბრუნებაზე ბევრს არ ვიფიქრებ.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ირაკლი ზოიძე კვლავ ჩადგა ნაკრების კარში.

**— საკმაო ინტერვალის შემდეგ უცბადვე მსოფლიო დონის ვარსკვლავებთან მოგიწია შეხვედრამ. შიშს ხომ არ გრძნობდი?**

— არავითარი შიში, არც თამაში გამჭირვებია, პირიქით, სასიამოვნოც კი იყო. სტოიჩკოვს, კოსტადინოვს და ლეჩკოვს რომ მოუგებ და ბურთებს აულებ, გესიამოვნება, აბა, რა იქნება?!

**— სტოიჩკოვმა ერთხელ მაინც გაგამწარა...**

— ძლიერი დარტყმული იყო, მე კი შევცდი — მუშტი უნდა დამეხვედრებინა...



იორდან ლეჩკოვი

დიმიტრი კუდინოვი: სოფიაში მატჩის შემდეგ აშკარად მოვუმატეთ და დღეს გაცილებით ძლიერად ვეთამაშეთ ბულგარელებს. რაც ძალა, ტექნიკა და შემართება გვქონდა, ყველაფერი გავიღეთ.

გიორგი ქინქლაძე: ჩვენ დასაკარგი არაფერი გვქონდა, ბულგარელებს კი მხოლოდ პირველ ადგილზე გასვლა სურდათ. თამაშიც ძალიან დაძაბული გამოვიდა, ცხადია. მაგრამ ჩვენ ჩვენი გავიტანეთ და ხალხი დავაჯერეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ ბულგარეთში წაგება შემთხვევითი იყო და აკი ეს შევძელით კიდეც.

**— ყველა საგოლე მომენტი რომ გამოგეყენებინათ, ანგარიში, ალბათ უფრო სოლიდურიც იქნებოდა...**

— რაც იყო, ეს იყო, დღეს ღმერთმა ასე ინება...

რა მდგომარეობა იქნებოდა ბულგარელთა გასახდელში, თავად წარმოიდგენთ. თამაშამდე გამარჯვებაში დარწმუნებულნი შოკში იყვნენ. თავდაპირველად გაზეთ „7 დნი სპორტის" მთავარ რედაქტორს, ბატონ იული მოსკოვს გავესაუბრე:

— საქართველოს ბრწყინვალე ნაკრები ჰყავს, თქვენების დღევანდელი გამარჯვება შთამბეჭდავია — როგორი საქმეა, ასე მოუგო ევროპულ გრანდს. ახალგაზრდული, ტექნიკური და სწრაფი გუნდია, რომელიც თანდათან თავის სტილს ამკვიდრებს. ეს ძალზე ეფექტური სტილია. თქვენ რომ სხვა თამაშებიც ასევე მობილიზებულებს გეთამაშათ, ინგლისში უეჭველად მოხვდებოდით.

თქვენ ბრწყინვალე მოთამაშეები გყავთ — ქინქლაძე, ძმები არველაძეები, ორი ნომერი (ღუდუშაური), რომლის გვარის გამოთქმა მიჭირს. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცი, სულ მეორედ თამაშობს ნაკრებში და დებიუტანტის კვალობაზე საოცრად მომეწონა, ძალიან სახიფათოა და, ეტყობა, საკმაოდ ჭკვიანიც, რადგან მთელი პირველი ტაიმის მანძილზე დიდ, მაგრამ შეუმჩნეველ სამუშაოს ასრულებდა. თქვენი მეკარეც მომეწონა, თუმცა, ბურთს შიშით იღებდა.

**— ბულგარელებმა სუსტი თამაშის გამო წააგეს შეხვედრა თუ საქართველოს ძლიერმა თამაშმა გამოიღო თავისი შედეგი?**

— ერთიც იყო და მეორეც, ჩვენები კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ დღეს გუნდი არ იყო.

**— საკმაოდ თავდაჯერებულებიც ჩანდნენ...**

— აი, სად არის პრობლემა! ამიტომაც ითამაშეს ცუდად.

...ბატონმა იული მოსკოვმა იმ დღეს დიდი სამსახური გამიწია, სწორედ მისი დახმარებით მოვახერხე ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანთან ხრისტო იოსიფოვთან და მოთამაშეებთან გასაუბრება. რომ არა ეს სიმპათიური, ჭაღარათმიანი კოლეგა, დამარცხებულ და გაბრაზებულ ბულგარელებს ახლოსაც ვერ მივეკარებოდი.

ხრისტო იოსიფოვი: პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თამაშის ჩინებული ორგანიზაციისა და გულითადი მასპინძლობისთვის. გილოცავთ ღირსეულ გამარჯვებას. პირველად ვნახე ამ ჯგუფში ჩვენი მეტოქის ასეთი ძლიერი, ლამაზი და გონივრული თამაში. იმედია, მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. შეხვედრა „ფეირ-პლეის" სულისკვეთებით ჩატარდა, მიუხედავად რამდენიმე გაფრთხილებისა. რა თქმა უნდა, ძალიან მეწყინა ჩვენების მარცხი, მაგრამ ეს ფეხბურთია...

კრასიმირ ბალაკოვი: მიჭირს იმის აღწერა, რაც მოედანზე ხდებოდა. თქვენებმა ძალიან კარგად, თავდაუზოგავად ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიგეს. ჩვენ ორი ელემენტარული შეცდომა დავუშვით დაცვაში და ორი გოლიც მივიღეთ. შემდეგ კი ძნელი იყო ქართველთა გაძლიერებული დაცვის გადალახვა.

იორდან ლეჩკოვი: თამაში ჩვენი შეცდომების გამო წავაგეთ. ეს იყო მარცხის მიზეზი.

**— დღევანდელმა თამაშმა ალბათ თქვენი გუნდის ნაკლიც დაგანახათ...**

— პირველ რიგში, ჩვენი ცუდი, უგულო თამაში იყო მარცხის მიზეზი და უმთავრესი ნაკლი. როდესაც ფეხბურთელი თუ გუნდი გულით არ თამაშობს, ეს არის სწორედ მისი ხარვეზი. ყველაფერში თავად ვართ დამნაშავეები. ამასთან, საქართველოს ნაკრები ძალიან ძლიერი იყო. ამ ფაქტის უარყოფაც არ შეიძლება. კარგი გუნდია და გამოცდილების შეძენის კვალობაზე დიდი წარმატების მიღწევაც შეუძლია.

...ყველაზე დიდი პრობლემა, რა თქმა უნდა, ხრისტო სტოიჩკოვთან საუბარი იყო. თუმცა ბატონი იული აქაც და-



ხრისტო სტოიჩკოვმა საგოლე დარტყმამდე ბურთი შეათვალიერა

მეხმარა: მართალია, ის განსაკუთრებული და რთული პიროვნებაა, მაგრამ რამეს მოვახერხებთო, მითხრა. მეც გავერიე ბულგარელ ჟურნალისტებში და ასე მოვახერხე უკმეხ ხრისტოსთან დალაპარაკება:

**— თქვენ მოედანზე ზედმეტად თავდაჯერებულები ჩანდით. ეს ხომ არ იყო მარცხის მიზეზი?**

— ალბათ, ესეც იყო. წაგებაში ჩვენ ვართ დამნაშავენი, მსაჯები აქ არაფერ შუაში არიან. მცველები ხშირად ცდებოდნენ, ერთმანეთს ვერ აზღვევდნენ და ქაოსურად მოქმედებდნენ. ვერც თავდამსხმელები აკეთებდნენ თავის საქმეს. ამან, ცხადია, პრობლემები შეგვიქმნა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს წაგება კარგ სამსახურს გაგვიწევს, რადგან დავინახეთ ჩვენი ის ნაკლი, რისი გამოსწორებაც მომავალში მოგვიწევს.

მერაბ მამულაშვილი

პრესკონფერენცია

# მეტი პროფესიონალიზმი!

შეკრებილთ [illegible] ორივე გუნდის თავკაცი [illegible] გამოჩნდა. ბულგარელთა მთავარი მწვრთნელი დიმიტარ პენევს [illegible] გასვლა [illegible] ცეს და პრეს-კონფერენციაც დაიწყო. ალექსანდრე ჩივაძემ პირველი სიტყვა სტუმარს დაუთმო...



დიმიტარ პენევი: ალბანეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ჩვენი მოთამაშეები მართლაც თავდაჯერებულნი იყვნენ, მე მათ არაერთხელ მოვუწოდე სიფრთხილისკენ, რადგან ვიცოდი, რომ ძნელი თამაში გველოდა. მაგრამ დამარცხებას არ ველოდით. დაცვაში პრობლემები გვქონდა, კერძოდ, გვაკლდა ძირითადი შემადგენლობის ორი წევრი. ამას ბოლო ვარჯიშზე ივანოვის ტრავმაც დაერთო და დღეს ჩვენი უკანა ხაზი სათანადო დონეზე ნაღვილად ვერ იდგა. მეტოქემ სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთი ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა, მაგრამ კოსტადინოვმა ორჯერ ძელს გაარტყა. რაც შეეხება ჩვენს კარში გასულ გოლს, ეს ნახევრად ჩვენი დაცვის და ნახევრად მსაჯის დამსახურება გახლდთ... პენევმა ზოგადად ასე შეაფასა მატჩი, შემდეგ კი ბულგარელი და ქართველი ჟურნალისტების კითხვებზე უპასუხა:

**— როგორ შეაფასებდით ბალაკოვის, ლეჩკოვისა და ქინქლაძის თამაშს?**

— ბალაკოვმა და ლეჩკოვმა თავიანთ შესაძლებლობებზე უარესად ითამაშეს, დავალებას თავი ვერ გაართვეს (ქინქლაძის თამაშის შეფასებისგან თავი შეიკავა).

**— რომელი იყო ყველაზე ძნელი მატჩი ქვეჯგუფში ბულგარეთის ნაკრებისთვის?**

— ყველაზე საპასუხისმგებლოდ ვთვლი უელსის ნაკრების წინააღმდეგ კარდიფში გამართულ მატჩს, რომელიც 3:0 მოვიგეთ.

**— გერმანელებთან მომავალ თამაშზე რას ფიქრობთ?**

— ალბათ შევძლებთ დაცვაში პრობლემების მოგვარებას. მწყობრში ჩადგება ივანოვი, ითამაშებენ კრემენლიევი და ხუბჩევი. ვეცდებით, წარმატებით ვითამაშოთ.

დამსწრეთ ბულგარეთის ნაკრების თავკაცი ტაშით გააცილეს, მიკროფონთან კი დარჩა ალექსანდრე ჩივაძე, რომელმაც იქ მყოფთ შემდეგი მოახსენა:

— აქ პენევმა თავისი გუნდის პრობლემებზე ისაუბრა და ტრავმები ახსენა, მაგრამ ეს პრობლემა საქართველოს ნაკრებსაც არანაკლებ აწუხებდა, 3-4 წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, ეს კი დიდი დანაკლისია იმ გუნდისთვის, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენ უკვე ცხრა თამაში ვითამაშეთ, ბიჭებმა ირწმუნეს თავიანთი ძალა და მრისხანე მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს. ამ მოგებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ბიჭებს ამაგი არ უნდა დავუკარგოთ. საქართველოს ნაკრებმა ძალზე ძლიერ ქვეჯგუფში მესამე ადგილის დაკავება შეძლო, ეს კი უდაოდ მისალოცი ფაქტია. მე არცერთ ფეხბურთელს არ გამოვყოფ, ყველამ თავდადებით იბრძოლა. მადლობელი ვარ მურთაზ შელიასი, რომელმაც დღეს საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ითამაშა. საბოლოოდ დავრწმუნდით ქინქლაძის, შოთა არველაძის, ჯამარაულის, ნემსაძის, გოგიჩაიშვილის, ღუდუშაურის და დანარჩენთა პოტენციაში. ერთხელ კიდევ დამტკიცდა ის ჭეშმარიტება, რომ თუ გუნდი ფიზიკურად მაღალ დონეზე ვერ დგას, წარმატებას ვერ მიაღწევს. რაც შეეხება დევაძეს, ჩვენ მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გვაქვს, უბრალოდ, დღეს ზოიძის დაყენება გადავწყვიტეთ. მოხარული ვარ, რომ ნაკრებში ორი მაღალი კლასის მეკარე გვყავს. მოლდოვასთან პრინციპული თამაში გველის. ორი გაფრთხილების გამო ზოგიერთი ფეხბურთელი იქ ვერ ითამაშებს, მაგრამ ვეცდებით მაინც წარმატებით გამოვიდეთ.

პრეს-კონფერენციის დასასრულს ნაკრების თავკაცმა ერთობ ემოციურად ისაუბრა ჟურნალისტთა საქმიანობაზე, კრიტიკულად შეაფასა მათი ზოგიერთი მოსაზრება და არც მეგობრული რჩევა-დარიგება დაუშურებია. ისიც თქვა, ზოგჯერ ფეხბურთს არაკომპეტენტური ხალხი აშუქებს, ისეთები, ფეხბურთი რომ არასოდეს უთამაშიათო. ერთ-ერთ გაზეთში ისიც ეწერა, თუ გუნდს ძალით ვერ ჯობნი, ხერხით უნდა მოუგოო... ვერ გამიგია, რა ხერხზეა საუბარი, როცა ფეხბურთელს სირბილის და მოძრაობის თავი არა აქვს. ძალიან გთხოვთ, ნაკრების თამაშის ავ-კარგი სრულფასოვნად შეაფასდეს.

მამუკა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეგ ძველია, ახალი თქვი


ლევან ხომერიკის შეტევა

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. VII შესარჩევი ჯგუფი**

10 ოქტომბერი, თბილისი

**საქართველო 1:2 ბულგარეთი**

საქართველო: ჯანელიძე, რეხვიაშვილი, ზ. ჯელაძე, დიდავა, კარიაული, გ. ჯელაძე, კიკნაძე (მუჯირი 85), ბუცურეიშვილი, დემეტრაძე (ჩალაძე 45), ჯიქია, ხომერიკი

ბულგარეთი: კ. პეტკოვი, დ.ხრისტოვი, ივანოვი, კირილოვი, იონკოვი, პეტროვი, ალექსანდროვი, მ. ხრისტოვი (პრამატაროვი 65), ჟაბოვი (ბორისოვი), მ.პეტკოვი, ზაფიროვი

0:1 ჟაბოვი (58), 0:2 ბორისოვი (89), ჯიქია (90)

გაფრთხილება: ზ.ჯელაძე, მ.პეტკოვი, დ.ხრისტოვი, ზაფიროვი

გაძევება: ზ.ჯელაძე (48 წუთზე, მეორე გაფრთხილებისთვის)

მსაჯი: მიკა პელტოლა (ფინეთი)

რა შავ დღეში იყო ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები თამაშის წინ, ეს წინა „სარბიელში" გაუწყეთ — გუნდს აკლდნენ იაშვილი, გუჩუა, ღუდუშაური, ცქიტიშვილი, არჩილ არველაძე... ამან, ბუნებრივია, ნაკრები ძალიან შეასუსტა, თუმცა ჩვენების ასეთ უნიათო, ქაოსურ და უჯიგრო თამაშს არავინ ელოდა.

დასაწყისი თანაბარი იყო — ჩვენები თავიდანვე შეეცადნენ, ეს მათთვის უკვე არაფრისმომცემი თამაში მაინც მოეგოთ, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოუვიდათ — სტუმრებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ უპირატესობის მოსაპოვებლად. ისინი ფიზიკურად, ტაქტიკურად და საერთოდ, ყოველნაირად სჯობდნენ მასპინძლებს, პირველივე წუთებიდან პრესინგით შეეცადნენ ქართველებისთვის სათამაშო სივრცის შეზღუდვას, არ აძლევდნენ ბურთის მიღების საშუალებას და მოედნის ცენტრსაც მალე დაეუფლნენ აქტიური მოქმედებების წყალობით ბულგარელები ერთი წამით ადრე და ერთი შეხებით ნაკლებს აკეთებდნენ, ვიდრე ქართველები, ეს კი ფეხბურთში რას ნიშნავს, თამაშმა გვიჩვენა. სანამ ჩვენები ეფექტებსა და ორი-სამი კაცის მოტყუებაზე ფიქრობდნენ, მანამდე ბურთს სტუმრები ეუფლებოდნენ და ყოველგვარი ეფექტების გარეშე, მარტივად, სწრაფი გადაცემებით უმალ ჯანელიძის საჯარიმოსთან სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. ქართველი ფეხბურთელები ტრადიციული —


ბულგარელებს მხოლოდ ზვიად ჯელაძის შეჩერება გაუჭირდათ

4-5-1 სისტემით თამაშობდნენ: ჭეიშვილმა დაცვის ფლანგებზე რეხვიაშვილი და კარიაული გაამწესა, ცენტრში — უკან ზვიად ჯელაძე და წინ გივი დიდავა. ნახევარმცველთაგან ცენტრის გაკონტროლება კიკნაძესა და ბუცურეიშვილს დაევალათ, ორგანიზაცია — მამუკა ჯიქიას, ფლანგებზე მარცხნივ დემეტრაძე და მარჯვნივ გიზო ჯელაძე თამაშობდნენ, თავდასხმაში კი მხოლოდ ხომერიკი, თუმცა, ფლანგებს რა თქმა უნდა, აქტიური მოქმედებები ევალებოდათ. ბულგარელებმა კი 4-4-2 ტაქტიკური სქემა ამჯობინეს: დაცვაში მარჯვნივ კირილოვი, მარცხნივ — დანიელ ხრისტოვი, ცენტრში — ივანოვი და იონკოვი დააყენეს, ნახევარდაცვაში საყრდენის ფუნქციები დენკო დერმენჯიევმა გიორგი პეტროვს, გამთამაშებლის კი მარიან ხრისტოვს დააკისრა. ფლანგებზე მარჯვნივ ალექსანდროვი და მარცხნივ მილენ პეტკოვი ცდილობდნენ შეტევების გამწვავებას. თავდასხმაში კი ორი ჩინებული ფორვარდი, გუნდის კაპიტანი ჟაბოვი და კიკინებიანი ზაფიროვი უშრობდნენ სისხლს ჩვენს მცველებს. ეს უკანასკნელნი ბევრს, აქტიურად და სასარგებლოდ მოქმედებდნენ, ხშირად არც უკან ჩასვლას უკადრისობდნენ — მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე ფეხბურთის აზრზე იყვნენ. გუნდებს შორის განსხვავება თვალში საცემი იყო. სტუმრები თანამედროვე, ჩვენები კი ტრიკოიანი ფეხბურთელების დროინდელ ფეხბურთს თამაშობდნენ. ჩვენებს რატომღაც გონებაში აქვთ ჩაჭედილი, რომ ისინი სხვებზე ტექნიკურები არიან და 0:0-ზე თავს უფლებას აძლევდნენ, ორი-სამი კაცის მოტყუებაზე ეფიქრათ, არადა, ხომ ცნობილია, თუ ჯანზე მწყრალად ხარ, შენს ნიჭს და პოტენციალს (თუნდაც ტექნიკურს) ვერაფრისდიდებით გამოიყენებ. ამნაირი ფეხბურთის დრო კარგა ხანია წავიდა, ახლა სულ სხვა მოთხოვნებია, თუ ეს არ გავითვალისწინეთ, ვეჭვობ, რაიმე შეიცვალოს და ნაკრების ხელმძღვანელებს მუდამ წაგების მიზეზების ახსნა მოუწევთ. ძნელი სათქმელია, სად იმალება წაგების მიზეზი — მწვრთნელებში, ფეხბურთელებში, თამაშისწინა სამზადისში თუ განწყობაში. ფაქტია, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. არ იგრძნობოდა ელემენტარული მონდომებაც კი, რომლის გამოც გულშემატკივარმა ფეხბურთელს შეიძლება წაგება აპატიოს. ვეჭვობ, ეს მარტო შოთა ჭეიშვილის ბრალი იყოს: კაცმა რომ თქვას, რა უნდა მოსთხოვო ნაკრების მწვრთნელს, რომელსაც ფიზიკურად მოუმზადებელ ფეხბურთელებში უწევს არჩევანის გაკეთება. რომელ ტაქტიკაზეა იმ დროს ლაპარაკი, როდესაც მოთამაშეს მოძრაობა და პასუხისმგებლობის თავზე აღება უჭირს!

ისევ თამაშს დავუბრუნდეთ. მართალია, საბოლოოდ მინიმალური სხვაობით — 1:2 წავაგეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს თამაში თანაბარი იყო. უბრალოდ ანგარიში ბულგარელთა პრაგმატიზმზე მეტყველებს — სტუმრებმა ნაკლები ენერგიის გაღებითა და ნერვების წყვეტის გარეშე სასურველ შედეგს მიაღწიეს. თვალში საცემი იყო ბულგარელთა დისციპლინა და საშემსრულებლო კლასი. ქართველებს თავს საკუთარი რიტმი მოახვიეს და დანარჩენი დროის საქმე იყო. ეს დრო პირველ ტაიმში არ დამდგარა, მიუხედავად იმისა, რომ ბულგარელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს.მეორე ტაიმში ზვიად ჯელაძე გააძევეს და ამით, ფაქტიურად, ყველაფერი გადაწყდა. სტუმართა უპირატესობა უაშკარავესი შეიქნა და მალე მათ ანგარიშიც გახსნეს: რეხვიაშვილი პოზიციურად შეცდა და სტუმრები ხუთნი ორის წინააღმდეგ დარჩნენ, ბურთიანმა მარიან ხრისტოვმა კარის წინ ეულად მდგომი ჟაბოვი შენიშნა და სტუმრები დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში ჭეიშვილმა ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა — ჯელაძის გაძევებამდე დემეტრაძის ნაცვლად შემოსულმა ჩალაძემ ჯიქიას ადგილი დაიკავა, ეს უკანასკნელი კი მარცხენა ფლანგზე გადავიდა. ნაკლულად დარჩენის შემდეგ ბუცურეიშვილმა დაცვაში დაიხია. უცნაური იყო ცვლილება თამაშის ბოლოს — მუჯირმა საყრდენი ნახევარმცველი კიკნაძე შეცვალა, თუმცა ეს უკვე ნაგვიანევი შეცვლა გახლდათ და აკი შედეგიც ვერ მოიტანა. 85-ე წუთზე ახალშემოსულმა ბორისოვმა ბურთთან პირველივე შეხება ჯანელიძისა და, საერთოდ, ჩვენი მეორედ გამწარებით დაასრულა — 2:0. იქვე ჯიქიამ პრესტიჟის გოლი კი გაიტანა, მაგრამ ეს იყო და ეს...

ერთადერთი ნათელი წერტილი ნაკრების დებიუტანტის გიზო ჭელაძის მშვენიერი თამაში იყო — მის ფლანგურ გარღვევებს პარტნიორებიც რომ შეშველებოდნენ, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა შეხვედრა. მატჩის შემდეგ სწორედ მას გავესაუბრე:

— ჩემი ძმის გაძევების შემდეგ, ბუნებრივია, ძალიან გაგვიჭირდა. ამან, ფაქტიურად, გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი, არადა, მოგებაც შეგვეძლო. ჩვენი მეტოქე არ იყო ძალიან ძლიერი. უბრალოდ, ჩვენ ვერ ვივარგეთ.

— დღეს პირველად ითამაშე ნაკრებში, თუმცა შენ მოქმედებებში ეს არ იგრძნობოდა...

— მოედანზე ყოველგვარი შიშისა და დაძაბულობის გარეშე გამოვედი, რადგან არაფერი გვქონდა დასაკარგი. თანაც, თანაგუნდელთა მხარდაჭერას ვგრძნობდი და ეს ფაქტორიც ძალიან დამეხმარა.

— სისწრაფეზე საგანგებოდ ვარჯიშობ?

— არა, არავითარი სპეციალურ მომზადებას არ გავლივარ. ეს უნარი ბუნებრივად მაქვს...

ბულგარელთა კმაყოფილი მწვრთნელი დენკო დერმენჯიევი გასახდელში მოვიხელთე.

— ერთი წლის მანძილზე ორჯერ შეხვდით საქართველოს ნაკრებს. თქვენი აზრით, გუნდი უკეთესობისკენ შეიცვალა თუ უარესობისკენ?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემთვის ძნელია, რადგან გუნდი, ფაქტიურად, განახლებულია. დღეს ძირითადად 1975-76 წლებში დაბადებული ფეხბურთელები გამოიყვანეთ, შარშან კი სხვა გუნდი იყო. თქვენები აშკარად ნიჭიერები და პერსპექტიულები ჩანან. თუმცა, ძალიან ბევრი ნაკლიც დავინახე, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური მომზადება და არათანამედროვე თამაშის სტილი. ზედმეტს მოძრაობდნენ, ხშირად აყოვნებდნენ გადაცემებს, მოკლედ, დღევანდელი ფეხბურთი ვერ ითამაშეს, ასე კი ძნელია წარმატებაზე ფიქრი. ჩვენ ფიზიკური მომზადებისა და უკეთესი ორგანიზაციის წყალობით შევძელით სასურველი შედეგის მიღწევა.

ბულგარელთა კაპიტანი პეტერ ჟაბოვი:

— სოფიაში თქვენებმა უკეთ ითამაშეს და მოგების მეტი შანსიც ჰქონდათ, ვიდრე დღეს. მესმის, რის გამოც მოხდა ეს. გუნდი განახლებულია და ძნელია, ახალგაზრდა ბიჭებისგან მეტი მოითხოვო. ჩვენ კი უკვე ოთხი წელია ერთად ვთამაშობთ, შეთამაშებაც, კლასიც მეტი გვაქვს და შედეგი არ უნდა გაგიკვირდეთ.

— ძალიან თავდაჯერებულები ჩანდით...

— მოგება გვჭირდებოდა და დარწმუნებულებიც ვიყავით, რომ ამას შევძლებდით. ვიცოდით, თქვენ, ფაქტიურად, ახალი გუნდი გყავდათ, პერსპექტიული, თუმცა დღეისთვის ვერ გვაჯობებდით. ეს იყო ჩვენთვის ყველაზე ადვილი გამარჯვება. ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო და დამსახურებულადაც მოვიგეთ. ორი გოლი გავიტანეთ, თუმცა მეტიც შეგვეძლო, მეც მქონდა შანსი, თუმცა ვერ გამოვიყენე...


პეტარ ჟაბოვის (9) პირველი გოლის შემდეგ

მერაბ მამულაშვილი

გია ახალაძის ფოტოები

### I ჯგუფი

სლოვაკეთი — პოლონეთი 3:1, რუმინეთი — საფრანგეთი 0:0, ისრაელი — აზერბაიჯანი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 22-3 | 18 |
| რუმინეთი | 9 | 4 | 4 | 1 | 17-7 | 16 |
| პოლონეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-16 | 14 |
| ისრაელი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-8 | 12 |
| სლოვაკეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-9 | 11 |
| აზერბაიჯანი | 9 | 1 | 0 | 8 | 4-34 | 3 |

### II ჯგუფი

დანია — ესპანეთი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 23-10 | 20 |
| ბელგია | 9 | 5 | 3 | 1 | 24-10 | 18 |
| დანია | 9 | 5 | 1 | 3 | 27-15 | 16 |
| მაკედონია | 8 | 4 | 0 | 4 | 14-20 | 12 |
| კვიპროსი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-22 | 6 |
| სომხეთი | 9 | 1 | 0 | 8 | 9-26 | 3 |

### III ჯგუფი

ისლანდია — თურქეთი 2:3, შვეიცარია — უნგრეთი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 11-7 | 16 |
| თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-6 | 14 |
| შვედეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-4 | 13 |
| შვეიცარია | 8 | 3 | 1 | 4 | 9-16 | 7 |
| ისლანდია | 7 | 0 | 1 | 6 | 6-15 | 1 |

### IV ჯგუფი

ლიტვა — ესტონეთი 3:0, სლოვენია — უკრაინა 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 9 | 6 | 2 | 1 | 23-10 | 20 |
| იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 20-7 | 17 |
| ხორვატია | 9 | 5 | 2 | 2 | 11-8 | 17 |
| სლოვენია | 9 | 5 | 1 | 3 | 15-10 | 16 |
| ლიტვა | 9 | 2 | 1 | 6 | 14-16 | 7 |
| ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 5-37 | 0 |

### V ჯგუფი

მალტა — ჰოლანდია 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 9 | 7 | 0 | 2 | 31-11 | 21 |
| ჩეხეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 29-9 | 20 |
| ჰოლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 21-8 | 17 |
| ბელარუსი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-15 | 12 |
| მალტა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-24 | 4 |
| ლუქსემბურგი | 8 | 1 | 0 | 7 | 0-31 | 1 |

### VI ჯგუფი

ავსტრია — პორტუგალია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 7 | 5 | 2 | 0 | 11-1 | 17 |
| ინგლისი | 7 | 5 | 1 | 1 | 11-3 | 16 |
| ავსტრია | 7 | 2 | 1 | 4 | 4-9 | 7 |
| ირლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 5-6 | 5 |
| ესტონეთი | 7 | 0 | 2 | 5 | 1-13 | 2 |

### VII ჯგუფი

საქართველო — ბულგარეთი 1:2, უელსი — გერმანია 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 11-3 | 17 |
| გერმანია | 7 | 5 | 1 | 1 | 15-5 | 16 |
| უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-13 | 10 |
| მოლდოვა | 7 | 1 | 2 | 4 | 3-10 | 5 |
| საქართველო | 7 | 1 | 0 | 6 | 6-15 | 3 |

### VIII ჯგუფი

რუსეთი — საბერძნეთი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 7 | 6 | 0 | 1 | 15-4 | 18 |
| ფინეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 17-9 | 16 |
| რუსეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-6 | 10 |
| საბერძნეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 12-12 | 9 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1-28 | 0 |

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური (13-15.X)

13.X.

| | | | |
|---|---|---|---|
| შალკე — კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ჰანზა — შტუტგარტი | 1,8 | 2,6 | 2,8 |

14.X

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — დორტმუნდი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ბაიერნი — მიონხენგლადბახი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| აინტრახტი — ზანქტ პაული | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| კარლსრუე — უერდინგენი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ჰამბურგი — მიუნხენი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ფორტუნა — ფრაიბურგი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

15.X

| | | | |
|---|---|---|---|
| კიოლნი — ლევერკუზენი | 1,8 | 2,8 | 2,6 |

ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური (14-16.X)

14.X

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ჩელსი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ბლექბერნი — საუთჰემპტონი | 1,35 | 3,0 | 4,4 |
| ბოლტონი — ევერტონი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლიდსი — არსენალი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ლივერპული — ქოვენთრი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| მანჩესტერ იუნ. — მანჩესტერ სიტი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ქუინზ პარკი — ნიუკასლი | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| ტოტენჰემი — ნოტინგემი | 1,7 | 2,8 | 2,9 |

15.X

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფილდი — მიდლსბრო | 1,6 | 2,8 | 3,2 |

16.X

| | | | |
|---|---|---|---|
| უიმბლდონი — ვესტ ჰემი | 1,6 | 2,8 | 3,2 |

იტალიის ჩემპიონატი. VI ტური (15.X)

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ინტერი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| პარმა — უდინეზე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ნაპოლი — ფიორენტინა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ტორინო — რომა | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ვიჩენცა — ბარი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ლაციო — პადოვა | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| პიაჩენცა — სამპდორია | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| მილანი — იუვენტუსი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| კალიარი — კრემონეზე | 1,3 | 3,0 | 5,0 |

ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტური (14-15.X)

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ბილბაო | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ვალენსია — ბეტისი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| კომპოსტელა — ოვიედო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| სალამანკა — რეალი | 4,0 | 2,7 | 1,5 |
| ტენერიფე — რაიო ვალეკანო | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| ალბასეტე — სარაგოსა | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| რეალ სოსიედადი — მერიდა | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| რასინგი — ვალიადოლიდი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ატლეტიკო — დეპორტივო | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| სპორტინგი — სელტა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სევილია — ესპანიოლი | 1,8 | 2,8 | 2,6 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური (14.X)

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსერი — ნიცა | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მეცი — ბორდო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მონაკო — გენიონი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ლიონი — პსჟ | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| სტრასბური — გინგამი | 1,35 | 2,9 | 4,7 |
| მონპელიე — ბასტია | 1,5 | 2,8 | 3,8 |

რუსეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური (14.X)

| | | | |
|---|---|---|---|
| ვლადიკავკაზი — დინამო-გაზოვიკი | 1,05 | 3,2 | 12,0 |
| ლოკომოტივი მოსკოვი — ურალმაში | 1,05 | 3,0 | 15,0 |
| როტორი — დინამო მოსკოვი | 1,8 | 2,8 | 2,6 |
| ცსკა — სპარტაკი მოსკოვი | 3,4 | 3,0 | 1,5 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური (14.X)

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| მოზერველი — აბერდინი | 1,9 | 2,6 | 2,6 |

გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია: 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9
ინგლისი: 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9
იტალია: 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9
ესპანეთი: 29 და ნაკლები — 1,9; 31 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვეღარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | | | | | 3-2 | | | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | | | 1-0 | | | | 3-1 | | | | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | | | | | | 2-0 | | 4-1 | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | | | ■ | | 2-1 | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | 4-0 | | 1-0 | | | | | | | | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | 3-1 | | | | | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | | | | | | ■ | | | | | 2-3 | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | | | | 2-0 | | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | 0-1 | | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | | | | | 1-1 | | | | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | | | | 1-0 | | ■ | | | | | 0-2 | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | 2-1 | | | | | | | ■ | | | | | | | | |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | | | | 0-1 | | | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | | | | | | | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | 0-0 | | | | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | 4-3 | | | 0-0 | | | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | | | | | | | 3-0 | | | | 3-0 | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | 0-3 | | | | | | 1-1 | | | | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | 1-1 | | | | | | | | | | | | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | | | | | | | | | | | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | | | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | | | 2-1 | | | ■ | | | | | | | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | | | | | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | | ■ | 1-1 | |
| 17 | VICENZA | | | | | 1-0 | | | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | | | | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 0-1 | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | 1-3 | | | | 2-0 | | | |
| 8 | LEEDS UNITED | | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | 2-0 | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | 2-2 | | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | | | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | | 0-2 | | | ■ | | 1-3 | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | | | | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | | | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | | 2-2 | | | 1-1 | | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | | | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | | | 2-1 | 3-1 | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | | 4-2 | | 1-3 | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | | | | | | | | | 1-2 | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | | | | | | | | ■ | | 1-1 | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | 0-2 | | | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | | | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | | | 2-4 | | 4-1 | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 2-1 | | | | | | | | | | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | | 1-1 | | 1-1 | | | | | | | | 0-1 | | ■ |

# ვინა ხართ წამსვლელ-დამრჩენი?

## I ჯგუფი

### რუმინეთი 1:3 საფრანგეთი

ლეკეტუში (52); კარემბუ (29), ჟორკაეფი (41), ზიდანე (73)

რუმინეთს რომ მოეგო ან თუნდაც ფრე ეთამაშა, პირველ ადგილს ვეღარავინ შეეცილებოდა. საფრანგეთს კი მეორე ადგილიც სათუო ექნებოდა. ფრანგებს თეორიულად არც ახლა აქვთ თავი ქუდში, თუ ისინი შინ ისრაელთან დამარცხდებიან, სლოვაკები კი რუმინელებს ბრატისლავაში, ასე, თვრამეტით-ცხრამეტით ნოლს მოუგებენ, მაშინ მეორე ადგილზე სლოვაკეთი გავა, ხოლო თუ ფრანგები ისრაელს დაამარცხებენ, რუმინელები კი სლოვაკებს ვერ მოუგებენ, მაშინ პირველები ეიფელისკოშკელები გახდებიან. ეს ყველაფერი უბრალო და გასაგებ ენაზე ასე ჟღერს: ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ამ ჯგუფში მოიპოვეს ფრანგებმა და რუმინელებმა, რომელთაც ბოლო ტურში პირველი-მეორე ადგილის ბედილა აქვთ გასარკვევი. დღეს უკვე ასეა, მაგრამ საამისოდ საფრანგეთის ნაკრებმა ჯგუფის ლიდერთან ბუქარესტში დიდი ბრძოლა გადაიტანა და დიდებულად მოიგო. ემბლემამამლიანთა მწვრთნელმა ემე ჟაკემ ამ თამაშზე მხოლოდ ორი ფეხბურთელი, ორი ზანგი, კარემბუ და ანგლომა წაიყვანა მათგან, ვინც მიმდინარე შესარჩევი ციკლის დასაწყისში შემადგენლობაში ჰყავდა. მოედანზე არ იყვნენ დიდებამოხვეჭილი ერიკ კანტონა და დავიდ ჟინოლა, ტრავმირებული ბერნარ ლამას ნაცვლად კარს იცავდა ბარტეზი, რომლისთვისაც ეს ნაკრებში მეორე თამაში იყო. არ თამაშობდა ალენ როში, რომელიც დაშავდა და ახალ წლამდე მკურნალობას მოუნდება. თერთმეტი ფრანგიდან ექვსი მარსელის „ოლიმპიკის" ყოფილი მოთამაშე გახლდათ.

სტუმრები თავიდანვე უფრო მონდომებულნი, უფრო თავგანწირულნი იყვნენ, ბურთის წასართმევად მთელს მოედანზე, მეტადრე კი თავის ნახევარზე უფრო თავდაუზოგავად იბრძოდნენ. მათ ერთი-ორი მეტ-ნაკლებად მწვავე მომენტიც შექმნეს, თუმცა საპასუხოდ რუმინელთა ვარსკვლავმა გეორგე ჰაჯიმ ორი ჯარიმა დაარტყა, რომელთაგან ერთი ბარტეზმა ძვლარებით იოლად აიღო, მეორე კი ცუდად მიიღო და შემდეგ კუთხურზე გადააგდეს. ამასობაში დადგა 29-ე წუთიც, როდესაც ფრანგთა სწრაფი კონტრშეტევა გოლით დამთავრდა. ზიდანემ მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ორ რუმინელ მცველს შორის 24 წლის კრისტიან კარემბუმ ივარგა და თავით ბოგდან სტელიას კარის ბადეში შეაგდო. ეს კარემბუს პირველი გოლი იყო ნაკრების შემადგენლობაში, სადაც მეათე თამაშს ატარებდა. თორმეტ წუთში სტუმრების კიდევ ერთი ელვისებური კონტრშეტევა დაგვირგვინდა გოლით. რუმინელებს ბურთი „მილანის" მოთამაშემ მარსელ დესაიმ წაართვა, თავადვე სწრაფად წამოიღო და კვლავ მარცხენა ფრთაზე გერენს მიაწოდა, რომელმაც შუაში გადაგზავნა, საიდანაც დუგარიმ დაარტყა. დარტყმა სტელიამ მოიგერია, თუმცა ყველას იური ჟორკაეფმა დაასწრო და ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში უპირატესობა მასპინძლებმა იგდეს ხელთ. გეორგე ჰაჯიმ რამდენიმე დიდებული პასი შეასრულა, რომელთაგან ერთი 52-ე წუთზე „სტიაუას" ცნობილმა ფორვარდმა ლეკეტუშმა კარემბუს და მეკარის მოტყუების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების კარში გოლად აქცია. ამ ულამაზესი, რუმინელთათვის სტიმულისმიმცემი ეპიზოდის შემდეგ მათ, ცხადია, ანგარიშის გათანაბრებაზე დაიწყეს ფიქრი, მაგრამ იმედი 73-ე წუთზე ზიდანემ დაუმხო. მასპინძელთა კარში მესამე გოლი ისევ და ისევ სწრაფი და ზუსტი კონტრშეტევის შედეგად გავიდა. მარცხნიდან გერენის ჩაწოდებული, სისწრაფეში საკმაოდ რთულად დასამუშავებელი ბურთი ფრანგების მეათე ნომერმა ერთი შეხებით გაისწორა, მეორეთი კი მეტოქის კარის ცხრიანში შეაგდო. ამგვარად, გუნდმა, რომელსაც ერთი ხანობა ხუთ შეხვედრაში გოლი ვერ გაეტანა, ბოლო ორ მატჩში აზერბაიჯანელებთან და რუმინელებთან ცამეტი შეაგდო და მის ჰორიზონტზე ინგლისი გამოჩნდა.

### სლოვაკეთი 4:1 პოლონეთი

დუბოვსკი (31 პ), იანკულა (68), უილაკი (78), სიმონი (83); იუსკოვიაკი (19)

ხშირად კაცი მეზობლის ამბავს ვერ იგებ და, აქედან პოლონეთის ნაკრებში რა მოხდა, საიდან უნდა ვიცოდეთ, მაგრამ რაღაც რომ მოხდა, ფაქტია. თუნდაც ბუქარესტში ფრანგების გამარჯვების შემთხვევაში, ბრატისლავაში პოლონელებს სლოვაკები რომ დაემარცხებინათ, მდევრის პოზიციას და ორქულიან სხვაობას ინარჩუნებდნენ. ბოლო ტურში, ვფიქრობთ, ბაქოში აზერბაიჯანთან მოგება არც ისე, არც ასე გაუჭირდებათ და იმის იმედად იქნებოდნენ, რომ ისრაელს პარიზში წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩადენილი გმირობა გაემეორებინა და ფრანგებისთვის ქულები წაერთვა. ეს ბუქარესტში საფრანგეთის გამარჯვების შემთხვევაში, მაგრამ რუმინელებს რომ მოეგოთ ან ფრე ეთამაშათ, განა ალოგიკური იქნებოდა? აქედან გამომდინარე, პოლონელების სუსტი თამაში სლოვაკეთში სრულიად გაუგებარი იყო. იმის თქმა როდი გვინდა, რომ სლოვაკთა გუნდი ხელწამოსაკრავია, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ შეხვედრა უფრო სტუმრებმა წააგეს, ვიდრე მასპინძლებმა მოიგეს. პოლონელებს არ უთამაშიათ შეკრულად, დაცვაში უხეშად ცდებოდნენ და შეტევაზე ფიქრით ისე ერთობოდნენ, დაცვასა და თავდასხმას შორის შუაში გაწყვეტილნი ჩანდნენ. დათვური სამსახური სტუმრებს მეცხრამეტე წუთზე გატანილმა გოლმაც გაუწია. სვიერჩევსკის პასით იუსკოვიაკი პირისპირ გავიდა მასპინძელთა მეკარესთან და ანგარიში გახსნა. საგულისხმოა, რომ ეს პოლონელი თავდამსხმელის მეექვსე გოლი გახლდათ მეექვსე მატჩში. 31-ე წუთზე სიმონის წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. ადრე მადრიდის „რეალის", ახლა კი „ოვიედოს" თავდამსხმელმა დუბოვსკიმ ზუსტად, მარცხენა ფეხით თავისგან მარჯვენა ცხრიანში დაარტყა და გაქვითა.

მეორე ნახევარში სტუმართა დაცვის შეცდომები გრძელდებოდა — დუბოვსკიმ ძელს გაარტყა ბურთი, რასაც კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი მოჰყვა. ტაიმის შუაში კი საინტერესო და უცნაური ამბები დატრიალდა. პოლონელებს ჯარიმა უნდა დაერტყათ, სლოვაკებმა ცოცხალი კედელი აღმართეს, ამასობაში კი სტუმრები კოსეცკის ცვლიდნენ. კოსეცკიმ მაისური გაიხადა, მხარზე გადაიგდო და, გეგონებათ, ბათუმის ბულვარზეაო, ისე გაემართა მოედნის კიდისკენ. ამის შემხედვარე პორტუგალიელი არბიტრი მოთამაშეს გამოუდგა, წინ აღემართა და ყვითელი აუფრიალა. კოსეცკიმ გაოცებისგან ხელები გაშალა და გზა განაგრძო. მსაჯი ხელმეორედ გამოუდგა, კვლავ წინ აღემართა და ახლა წითელი ბარათი სტკიცა. ის ჯარიმა პოლონელებმა ძელს მოარტყეს, ცოტა ხანში კი დუბოვსკიმ საჯარიმოში ორი მეტოქე მოატყუა და იანკულას გაატანინა. ამის შემდეგ უცნაური ამბები გაგრძელდა. სვიერჩევსკიმ, როგორც ჩანს, რაღაც უსიამოვნო თქვა, რადგან მსაჯმა ყვითელი აუფრიალა. ფეხბურთელმა რეფერის მსახიობივით, ყვითლისთვის ულრმესი მადლობა გადაუხადა და წითელიც იხილა. მიდიოდა სვიერჩევსკი გასახდელისკენ და გზადაგზა ტაშს უკრავდა სლოვაკეთის გუნდის ხელმძღვანელობას და სათადარიგოთა სკამზე მსხდომთ. გავიდა პოლონელი მოედნიდან და უილაკმა „შეთხელებულ" სტუმრებს მესამე გაუტანა, შემდეგ ხუთ წუთში სიმონმა ერთიც ზედ დააყოლა და სულ ბოლოს იანკულამ ორჯერ რომ დაარტყა და ორივეჯერ ვოზნიაკს გაარტყა, სულაც არ სწყენია.

### ისრაელი 2:0 აზერბაიჯანი

რ. პარაზი (31, 50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 16-8 | 18 |
| საფრანგეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 20-2 | 17 |
| სლოვაკეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-16 | 14 |
| პოლონეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-12 | 12 |
| ისრაელი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 0 | 9 | 2-29 | 0 |

დარჩენილი თამაშები: 15 ნოემბერი სლოვაკეთი — რუმინეთი, აზერბაიჯანი — პოლონეთი, საფრანგეთი — ისრაელი

## II ჯგუფი

### დანია 1:1 ესპანეთი

ვილფორტი (47); იერო (17 პ)

### კვიპროსი 1:1 მაკედონია

აგაოკლეუსი (90); პერიდესი (29 საკუთარ კარში)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 22-4 | 23 |
| დანია | 9 | 5 | 3 | 1 | 16-8 | 18 |
| ბელგია | 9 | 4 | 2 | 3 | 16-12 | 14 |
| მაკედონია | 9 | 1 | 4 | 4 | 9-15 | 7 |
| კვიპროსი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-19 | 6 |
| სომხეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-14 | 5 |

დარჩენილი თამაშები: 15 ნოემბერი ესპანეთი — მაკედონია, კვიპროსი — ბელგია, დანია — სომხეთი

## III ჯგუფი

### შვეიცარია 3:0 უნგრეთი

თურქილმაზი (22), სფორცა (56), ორელი (89)

### ისლანდია 0:0 თურქეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| თურქეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| შვედეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-8 | 8 |
| უნგრეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-13 | 5 |
| ისლანდია | 7 | 1 | 2 | 4 | 3-11 | 5 |

დარჩენილი თამაშები: 15 ნოემბერი შვედეთი — თურქეთი, უნგრეთი — ისლანდია

## IV ჯგუფი

### სლოვენია 3:2 უკრაინა

უდოვიჩი (50,90), ზაპოვიჩი (73); სკრიპნოვი (23), გუსეინოვი (45)

### ლიტვა 5:0 ესტონეთი

მაციულევიჩუსი (8), შუკა (13,39), სლევისი (44), ივანაუსკასი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 6 | 2 | 1 | 20-4 | 20 |
| იტალია | 8 | 5 | 2 | 1 | 13-5 | 17 |
| ლიტვა | 9 | 5 | 1 | 3 | 13-8 | 16 |
| უკრაინა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-12 | 13 |
| სლოვენია | 9 | 3 | 2 | 4 | 12-11 | 11 |
| ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 3-31 | 0 |

დარჩენილი თამაშები: 11 ნოემბერი იტალია უკრაინა; 15 ნოემბერი სლოვენია — ხორვატია, იტალია — ლიტვა

## V ჯგუფი

### მალტა 0:4 პოლანდია

ოვერმარსი (52, 61, 65) ზეედორფი 80

### ლუქსემბურგი 0:0 ბელარუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 9 | 6 | 2 | 1 | 17-4 | 20 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 17-5 | 18 |
| პოლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 20-5 | 17 |
| ლუქსემბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 3-18 | 10 |
| ბელარუსი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| მალტა | 9 | 0 | 2 | 7 | 2-20 | 2 |



იური ჟორკაეფმა და მისმა ფრანგმა მეგობრებმა რუმინელები დაიფრინეს

დარჩენილი თამაშები: 12 ნოემბერი. მალტა — ბელარუსი. 15 ნოემბერი. ჩეხეთი — ლუქსემბურგი, პოლანდია — ნორვეგია.

## VI ჯგუფი

### ირლანდია 2:1 ლატვია

ოლდრიჯი (61 პ. 64); რიმკუსი (78)

### ლიხტენშტეინი 0:4 ჩ. ირლანდია

ონეილი (36), მაკ მაჰონი (49), ქვინი (55), გრეი (72)

### ავსტრია 1:1 პორტუგალია

შტოიგერი (21); პაულინიო სანტოსი (49)

ჯგუფი ვართო, ამათ უნდა თქვან, ბოლო ტურში სასურველი ადგილის დაკავება ერთბაშად სამ გუნდს შეუძლია, პორტუგალიას კი უკვე კარგად აქვს საქმე. ავსტრიაში პაოლინიო სანტოსის საპასუხო გოლმა ამ ნაკრებს მეოცე ქულა მოუტანა და ახლა თუ შინ ირლანდიასთან ექვსით ნოლს არ წააგებს, პირველი ადგილი მისია. ავსტრია კი პორტუგალიასთან მოგების შემთხვევაში, ცხადია, მდგომარეობას იუმჯობესებდა, მაგრამ ბოლო თამაშში ჩრდილოეთ ირლანდიაში „ომს" თავიდან ვერ იცილებდა. ვენის „ერნსტ ჰაპელის" სტადიონზე მასპინძლებმა გულშემატკივართა, ნაირფერადი დროშებით დამშვენებულ სტადიონზე პორტუგალიას თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს. ავსტრიის ნაკრები, რომელიც ძირითადად „რაპიდის" ბაზაზეა შექმნილი (6 ფეხბურთელი ამ გუნდიდანაა), ყველა ღონეს ხმარობდა დასაწინაურებლად. თანაგუნდელებს შორის გამოირჩეოდა შტოიგერი, რომელსაც ნაკრებში ორმოცდაათამდე მატჩი აქვს ჩატარებული. მან შეუპოვრად ითამაშა და იმთავითვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, 21-ე წუთზე კი ანგარიში გახსნა. შეხვედრაში ყველაფერი სწრაფად ხდებოდა და ეს მაღალი ტემპი თამაშს სანახაობრივად საინტერესოს ხდიდა. ხიფათი კვლავაც შექმნეს როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა. მეორე ტაიმში ავსტრიის გუნდი გასახდელიდან მოედანზე გვიან გამოვიდა, როგორც ჩანს, დიდხანს გეგმავდნენ, რა და როგორ უნდა შეესრულებინათ დარჩენილ ორმოცდახუთ წუთში, მაგრამ სწორედ ეს ნახევარი წააგეს. თამაშის განახლებიდან ოთხი წუთის შემდეგ პაოლინიო სანტოსმა მარცხენა ფრთაზე დიდებული დრიბლინგით ჩამოიცილა რამდენიმე მეტოქე და მარჯვენა ფეხით თავისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 6 | 2 | 1 | 26-7 | 20 |
| ირლანდია | 9 | 5 | 2 | 2 | 17-8 | 17 |
| ავსტრია | 9 | 5 | 1 | 3 | 26-9 | 16 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 15-12 | 14 |
| ლატვია | 10 | 4 | 0 | 6 | 11-20 | 12 |
| ლიხტენშტეინი | 10 | 0 | 1 | 9 | 1-30 | 1 |

დარჩენილი თამაშები: 15 ნოემბერი პორტუგალია — ირლანდია, ჩრდ. ირლანდია — ავსტრია.

## VII ჯგუფი

### უელსი 1:2 გერმანია

პელმერი (78 საკუთარ კარში); მელვილი (75 საკუთარ კარში), კლინსმანი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 9 | 7 | 1 | 1 | 23-7 | 22 |
| გერმანია | 9 | 7 | 1 | 1 | 24-9 | 22 |
| საქართველო | 9 | 5 | 0 | 4 | 12-10 | 15 |
| ალბანეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 9-15 | 7 |
| უელსი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-18 | 7 |
| მოლდოვა | 9 | 2 | 0 | 7 | 8-25 | 6 |

დარჩენილი თამაშები: 15 ნოემბერი მოლდოვა-საქართველო, ალბანეთი-უელსი, გერმანია — ბულგარეთი.

## VIII ჯგუფი

### სან მარინო 1:3 ფარერები

ვალენტინი (52); იონსონი (42,45,59)

### რუსეთი 2:1 საბერძნეთი

კოვტუნი (36), ონოპკო (71); ცალუხიდისი (64)

დავიწყოთ იქიდან, რომ მთელი ევროპა საკუთარ კარში გატანილ გოლს თავის სახელს არქმევს და არ მიაწერს მას მეტოქის იმ მოთამაშეს, რომლის დარტყმასაც შემდეგად გაიტანა მავანმა ეს ავტოგოლი. რუსებმა მთელს კონტინენტს ამცნეს (ასე გადასცეს სხვადასხვა სააგენტოებმა), რომ პირველი ბურთი ბერძენთა კარში კოვტუნმა შეაგდო. ისე ცხვირი კოვტუნს დაუმშვენდეს, რაც ბურთი თავის კარში ბერძენმა გაიტანა (მკითხველი დაგვემოწმება), თუმცა ეს დეტალია. მთავარი ის არის, რომ რუსეთის ნაკრები დაწინაურდა. ჩვენი შავი ზღვის აუზის მეზობლები ჩვენსავე ჩრდილოელ მეზობლებს მოსკოვში მაგრად დაუდგნენ და მეორე ტაიმში გაუქვითეს კიდეც, თანაც ლამაზად. ბურთი მას მერე გავიდა, რაც ზემოხსენებული კოვტუნის ყვითელი ბარათით დაჯარიმების შემდეგ მარჯვენა ფრთიდან წამოღებული ბურთი „აუზელებელმა" ჩრდილოეთელთა საჯარიმოში ჩააწოდეს, სადაც ცალუდიხისმა თავით ივარგა. ამის შემდეგ ბერძნებმა კიდევ შექმნეს სახიფათო მომენტი, მაგრამ რუსებს მეტი გარჯა დაუფასდათ, დაჟინება და უფრო ხშირი მწვავე ეპიზოდი 71-ე წუთზე გოლად ექცათ. მარჯვნიდან, ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი მეკარემ ონოპკოსთან ჭიდილში ვერ დაიჭირა, კოვტუნმა დაარტყა მაგრამ მოიგერიეს, ონოპკომ დაამატა და გამარჯვების გოლი გაიტანა. აწი რუსებს და შოტლანდიელებს ალარაფერი ადარდებთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 9 | 7 | 2 | 0 | 31-4 | 23 |
| შოტლანდია | 9 | 6 | 2 | 1 | 14-3 | 20 |
| საბერძნეთი | 9 | 5 | 0 | 4 | 18-9 | 15 |
| ფინეთი | 9 | 5 | 0 | 4 | 17-15 | 15 |
| ფარერები | 9 | 2 | 0 | 7 | 10-30 | 6 |
| სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 2-31 | 0 |

დარჩენილი თამაშები: 15 ნოემბერი რუსეთი-ფინეთი, საბერძნეთი — ფარერები, შოტლანდია — სან მარინო

პაპუნა ქედია


საფეხბურთო ტოტალიზატორი

ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 03

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 15.10 | ატალანტა — ინტერი | იტ. ჩემპ. |
| 2 | 15.10 | ვიჩენცა — ბარი | იტ. ჩემპ. |
| 3 | 15.10 | მილანი — იუვენტუსი | იტ. ჩემპ. |
| 4 | 15.10 | ბარსელონა — ატლეტიკი | ესპ. ჩემპ. |
| 5 | 15.10 | ატლეტიკო — დეპორტივო | ესპ. ჩემპ. |
| 6 | 15.10 | კიოლნი — ლევერკუზენი | გერმ. ჩემპ. |
| 7 | 15.10 | შეფილდი — მიდლსბრო | ინგლ. ჩემპ. |

№ 02 ტირაჟის შედეგები:

1. 1-5 2. 1-1 3.0-0 4. 2-1 5. 1-1 6. 6-1 7. ?-?. დებულების თანახმად მე-7 მატჩის ანგარიში ყველა ვარიანტისთვის ითვლება გამოცნობილად.

მოგებები: ხუთი მატჩი — 34 ლარი (7 ვარიანტი), ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. **JACK POT** — 205 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში, შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. **JACK POT** — 509 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (შ). რეგისტრაციის ბოლო ვადაა 14 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

# გაიხსენეთ დაცვა!!!

| ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო — ბოსნია 77:66 (30:28) სპორტის სასახლე. 11 ოქტომბერი. 6 000 მაყურებელი მსაჯები: პ. ტოშჩევი (ბულგარეთი), ი. დოლინეკი (ჩეხეთი) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო: სულ | საჯარიმო: + | ფოლი |
| 7 ტურაშვილი | 3 | 2 | — | — | — | — | — | 3 |
| 15 ჩხეიძე | 15 | 5 | 2 | — | — | 8 | 4 | 2 |
| 14 ქარაბაკი | 4 | 1 | — | — | — | — | — | 4 |
| 12 სტეფანია | 15 | 13 | 2 | 3 | 6 | 10 | 7 | 1 |
| 13 შენგელია | 2 | — | — | — | — | — | — | 2 |
| 9 დარსაძე | 3 | 1 | — | — | — | — | — | 5 |
| 11 დერიუგინი | 11 | 4 | 1 | 1 | — | 4 | 3 | 1 |
| 8 სანაძე | 24 | — | 1 | 2 | — | 9 | 8 | 2 |
| 10 ბაქრაძე | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| სულ | 77 | 26 | 6 | 6 | 6 | 31 | 22 | 21 |
| ბოსნია | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო: სულ | საჯარიმო: + | ფოლი |
| 6 ბეჩირაჩიჩი | 14 | 2 | 2 | 3 | — | 5 | 5 | 2 |
| 4 ჩორიჩი | 5 | 2 | — | — | — | 3 | 1 | 4 |
| 15 მუმინოვიჩი | 10 | 1 | 1 | — | — | 4 | 2 | 2 |
| 7 კორლოტოვიჩი | 8 | 1 | — | — | — | — | — | 4 |
| 9 ბუკვა | 25 | 11 | — | — | — | 10 | 8 | 4 |
| 10 კახრიმანოვიჩი | 2 | — | — | — | — | 2 | 2 | 4 |
| 14 ბეპანი | — | — | — | — | — | — | — | — |
| 13 შეიხოვიჩი | — | 1 | — | 1 | — | — | — | 1 |
| 5 დელიჩი | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| 11 ვიკვა | 2 | 2 | — | — | — | 1 | — | 2 |
| სულ | 66 | 20 | 3 | 4 | — | 25 | 18 | 26 |

როგორ უნდა მოუგო ბოსნიას — ეს ხომ ყოფილი იუგოსლავიის ქვეყანაა და დიდი საკალათბურთო ტრადიციები აქვს? — აი, ის ერთადერთი კითხვა, რომელსაც დასვამდა ჩვენი გულშემატკივარი და ზოგიერთი სპეციალისტი საქართველოს ნაკრების პირველი შინ გამართული ოფიციალური მატჩის წინ და მერე სავარაუდო დასკვნასაც გააკეთებდა — ალბათ წავაგებთ. კი ბატონო, ბოსნია მართლაც შედიოდა იუგოსლავიაში და უნდოდა თუ არა, რესპუბლიკის დონეზე ნორმალური კალათბურთი ექნებოდა. მაგრამ, მოდით ერთი იქაური მოთამაშეებიც გავიხსენოთ, მსოფლიოს რომ აზანზარებდნენ. წავალთ, წამოვალთ და განუმეორებელი მირზა დელიბაშიჩის გარდა ხელში არავინ შეგვრჩება. არც ისაა დასავიწყებელი, რომ სარაევოს „ბოსნა" ერთ დროს ევროთასებსაც ფლობდა, მაგრამ ისიც საკითხავია, იმ გუნდში ბოსნიელები მეტნი იყვნენ თუ სერბ-ხორვატები.

ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ საქართველოს ნაკრების გამარჯვების დაკნინება გვსურს. უბრალოდ, ქართველებს „პატარა კაცის" კომპლექსმა ამ ბოლო დროს მეტად შემოგვიტია და მისი ხელოვნურად კიდევ უფრო ხაზგასმა არცთუ სასიკეთო უნდა იყოს. თუ ბოსნია იუგოსლავიაში იყო, ჩვენ საბჭოთა კავშირში ვიყავით. რას, რას და საკალათბურთო მიღწევებს ამ ნეტარხსენებულ ქვეყანას ნაღვილად ვერ დაუწუნებ. ხოლო ქართველებს ერთ დროს იმისთანა მოთამაშეები გვყავდა, ერთ კი არა, ხუთ ბოსნიას მაინც ეყოფოდა. მაგრამ ეს ყველაფერი იყო, მთავარი კი ის გახლავთ, რა არის დღეს.

დღეს ორივე ქვეყანას დაახლოებით ერთნაირი პრობლემები აწუხებს. სტუმრებს უფრო მეტად, რადგან ლამისაა, სამშობლო თავზე ჩამოექცეთ. მიუხედავად ამისა, იქ კალათბურთი მაინც სულდგმულობს, ნაკრების მოთამაშეები ევროპის კლუბებში არიან მიმოფანტულნი და რაც მთავარია, სათამაშო პრაქტიკა ერთი წუთითაც არ გაუწყვეტიათ. ჩვენ კი ერთადერთი ლეგიონერი გვყავს, დანარჩენები კი საქართველოს ჩემპიონატისა და ერთი-ორი მეორეხარისხოვანი საერთაშორისო ტურნირის ამარა არიან.

ჰოდა, ეს გამარჯვება მით უფრო დასაფასებელია. ქართველები არ შეუშინდნენ არც მეტოქეს და არც მის გარშემო შექმნილ უძლეველობის მითს და მოიგეს. თანაც, მოიგეს არა თავგანწირვითა ან იღბლით, არამედ სწორი, ტაქტიკურად გამართული და გონივრულად ნათამაშები კალათბურთით.

დაცვა რომ თანამედროვე კალათბურთის თავი და თავია, ამაში მხოლოდ ურწმუნო თომები თუ არ დაგეთანხმებიან. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი გამუდმებით ამას ამბობს და ლამისაა ქადაგად იქცეს, მაგრამ არც ოპონენტები აკლია — აქაოდა, ქართველთა სტიქია მუდამ შეტევა იყო და ბოლო-ბოლო ქულები მეტოქის ფართან გროვდება და არა საკუთართან. ლიპარტელიანსა და მის თეორიებს ჩემი დაცვა სულაც არ სჭირდება, მაგრამ პირველმა ტაიმმა ყველაფერი ნათლად გამოაჩინა.

ჩვენებმა ტანმაღალი სასტარტო ხუთეული გამოიყვანეს, რითაც ფარის მოგებაზე განაცხადეს პრეტენზია. პირველსავე წამებზე დაცვაში დაშვებული ორი უხეში შეცდომის გამო ბოსნია წინ გაიჭრა. ჩვენებმა ფარის მისადგომები გადაკეტეს და მეტოქეებს — არც მაღლებსა და არც უკანახაზელებს სამწამიან ზონაში არ უშვებდნენ. ცენტრი ბუკვა იძულებული გახდა ზემოთ ამოწეულიყო და საშუალო მანძილიდან ესროლა. ერთხანს გაუმართლა, სროლაც წაუვიდა და ქართველებმაც ხელი შეუწყვეს: დაზღვევას ვერ ასწრებდნენ და მსუბუქი ბოსნიელები ბურთს ბურთზე აგდებდნენ. ჩვენებს კი შეტევაში მაინცდამაინც კარგად ვერ მისდიოდა საქმეები — სტეფანია და ქარაბაკი იოლად იცილებდნენ მეურვეებს, სამაგიეროდ, დასკვნით სტადიაში სიზუსტე არ ყოფნიდათ. ასე ილეოდა პირველი ტაიმი და ბოსნია 24:12 დაწინაურდა.

ქართველები გამუდმებით ცვლიდნენ შემადგენლობას, მაგრამ სასურველ ხუთეულს მაინც ვერ მიაგნეს. მეტოქის ხუთეული კი მაგრად იდგა და პირველი ცვლილება მე-13 (!) წუთზე გააკეთეს. ცხადი გახდა, რომ ბოსნიას სრულფასოვანი სათადარიგოები არ ჰყავდა და თამაშმა აკი ეს დაამტკიცა კიდეც: შემცვლელების ანგარიშზე მხოლოდ 4 ქულა (!!), 3 მოხსნა და ერთი ჩაჭრა მოდის. ლიპარტელიანმა იგრძნო ეს და თან მეტოქის წამიერი არეულობაც შენიშნა. მან უმალ წუთშესვენება მოითხოვა და მოედანზე ტურაშვილი, ჩხეიძე, სანაძე, სტეფანია და დერიუგინი დატოვა. ამ მომენტიდან მოყოლებული, ვიდრე მატჩის ბოლომდე, საქართველოს ნაკრებმა აქცენტი დაცვაზე გააკეთა, რამაც მოაგებინა კიდეც.

წუთშესვენების შემდეგ ჩვენები პერსონალურ დაცვაზე გადავიდნენ. მათ იმდენად მოუჭირეს მარწუხები ბოსნიელებს, რომ ამათ ბურთის დაკარგვა დაიწყეს. ქართველები სწრაფ გარღვევებს აწყობდნენ და ტაიმის დამთავრებამდე 1,44 წუთით ადრე სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა. აქვე დერიუგინმა ბუკვას აუტში გადააგდებინა ბურთი და დაწინაურების შანსი მოგვეცა. მო-



სტეფანიას მხარი დერიუგინმაც აუბა

ულოდნელად, ფარზე მარტო გასულმა სანაძემ აცილა, ხოლო ამით დაბნეულმა ტურაშვილმა ფარქვეშ ბურთი რომ აიღო, სროლა ვერაფრით გარისკა და შეტევის უფლება მეტოქემ მიიღო. ვერ ბოსნიელებმა ივარგეს: სტეფანიამ შეტევაში აჰკიდა ჯარიმა შეიხოვიჩს და შესვენებამდე 28 წამით ადრე კიდევ ერთი წუთშესვენება დაინიშნა.

ნეტავ ყველა მწვრთნელის ყველა დავალება ეგრე სრულდებოდეს, როგორც ამჯერად მოხდა. ჩვენებმა სწრაფად ათამაშეს ბურთი ბოლომდე და ლიპარტელიანის ნიშნისთანავე, ბოლო წამზე მისცეს ჩხეიძეს. ამის სამქულიანი და სირენა კი ერთმანეთს დაემთხვა და საქართველოს ნაკრები მატჩში პირველად და საბოლოოდ დაწინაურდა — 30:28.

პირველ ტაიმში სტეფანიამ კარგად ითამაშა, მაგრამ შესვენების შემდეგ, განსაკუთრებით კი საწყის ხუთ წუთში ნათლად გამოჩნდა, რამხელა შესაძლებლობების კალათბურთელი გვყოლია. ამ 214 სანტიმეტრიანმა კაცმა გამთამაშებლისთვისაც კი შესაშური ბურთი ჩაჭრა და ჩატენა. შემდეგ კი მორიგეობით დაუფარა კორლოტოვიჩს, ბეჩირაჩიჩს და ვიკვას. ბოსნიელები ფსიქოლოგიურად გატყდნენ, მაგრამ კომპენსაციაც უმალ მიიღეს — დარსაძეს ბარძაყი დაეჭიმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენებს ერთადერთი ნომინალური უკანახაზელი-ტურაშვილი რჩებოდათ. მამუკამ კი გამოსვლისთანავე სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში 42:36 გახადა. ამასობაში ცბიერმა დერიუგინმა ხუთი თითივით მოასწრო გოლიათი ბუკვას გაშიფრვა — ოთხი პერსონალური პირადად აკიდა. ეს უპირატესობა რომ მიიღო, კოლიამ დაცვაში უფრო მოუჭირა ბოსნიელს და ბურთებიც აკარგვინა და პასებიც ჩაუჭრა. სტეფანია ფარზე არავის აჭაჭანებდა, სანაძეს სროლა წაუვიდა, ჩხეიძე დაცვაში არავის ახარებდა და ანგარიში 14 ქულამდე გაიზარდა. დამთავრებამდე 6.22 წუთით ადრე კი ალბათ გადამწყვეტი მომენტი დადგა: კახრიმანოვიჩი სანაძეზე დაჯარიმდა. მას ბეჩირაჩიჩი გამოესარჩლა და მსაჯს ტექნიკური ჯარიმა გამოსტყუა. კახრიმანოვიჩმა, არიქა, თანაგუნდელს მიჩაგრავენო, ტოშჩევს გინება აუტეხა და ერთი ტექნიკურიც მან აიკიდა. ამრიგად, სანაძეს 6 სროლის საშუალება მიეცა. ექვსი საჯარიმოს ჩაგდება გიასნაირი სნაიპერისთვის დიდი სიძნელე არ გახლავთ და ანგარიშიც 61:44 გახდა. ბულგარელმა არბიტრმა თავისი განაჩენის შერბილება სცადა და შენგელიას უწყინარ სიტუაციაში პერსონალური გამოუგონა. ამჯერად ბეჩირაჩიჩმა და ბუკვამ ორ-ორი საჯარიმო გამოიყენეს. ამან ჩვენები ცოტათი დააბნია, მომდევნო შეტევაში ვიკვამ ბურთი ჩააგდო და თან დარსაძისგან წესის დარღვევის გამო საჯარიმო სროლის უფლებაც მიიღო. ბოსნიელმა საჯარიმო ვერ გამოიყენა, ანგარიში 63:52 დარჩა, ქართველები კვლავ გონს მოეგნენ და შეხვედრა უპრობლემოდ მიიყვანეს დასასრულამდე.

გამარჯვება თავისთავად სასიხარულოა, მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე გამართულ პირველ მატჩში. ორმაგად გასახარელი კი ის გახლავთ, რომ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა შესანიშნავი დაცვის, ერუდირებული თამაში აჩვენა და საკალათბურთო ცოდნა გამოავლინა. მით უმეტეს, გუნდს ორი ლიდერი — ნაცვლიშვილი და ვაშაკიძე აკლდა. დასაფასებელია ლიპარტელიანის რისკიც: დღეს, როცა ნაკრებში უკანახაზელების დეფიციტია, დიდი ფუფუნებაა, უარი თქვა თორთლაძესა და ქლენტზე (გინდა ობიექტური, გინდა სუბიექტური მიზეზებით), მაგრამ მთავარი მწვრთნელი თავის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია და ვისაც საჭიროდ ჩათვლის, იმას მოიწვევს. ამჯერად რისკმა გაამართლა. რაც შეეხება ჩხეიძის ფორვარდიდან უკანახაზელად გადმოყვანას, ლიპარტელიანი ამ ექსპერიმენტს შარშანდელიდან მიმართავს და არცთუ უსაფუძვლოდ: რეზომ დაამტკიცა თავისი უნივერსალური შესაძლებლობები და ბოსნიასთან მატჩში, სტეფანიას შემდეგ ყველაზე სასარგებლო მოთამაშე იყო. ამიერიდან კი საქართველოს ნაკრებს მეტი მოეთხოვება. გუშინწინდელმა გამარჯვებამ ღრუბლებში არ უნდა აგვიყვანოს და სამომავლოდ მხოლოდ ტკბილ მოგონებად არ უნდა გვექცეს. წინ რვა მატჩია და თუკი ერთხელ შევძელით ნორმალური კალათბურთის თამაში, ამის გაკეთება სხვა დროსაც არ უნდა გაგვიჭირდეს.

ბოსნიელებთან კი ერთი კითხვა გვქონდა: სად არიან და რატომ არ იყვნენ თბილისში დღევანდელი იქაური კალათბურთის საუკეთესო შვილები შაბაჰუდინ ბილალოვიჩი, დამირ ტრნინიჩი და სამირ ავდიჩი. ამის თაობაზე მათ მწვრთნელს საბიტ ჰაჯიჩსაც დავეკითხეთ, იმან კი მოგვიგო: ფეხბურთზე მიმეჩქარება და ვერაფერს გიპასუხებთო.

მერაბ რატიშვილი

გია ახალაძის ფოტოები




ნაცნობი სურათი: ვლადიმერ სტეფანია ფარის მბრძანებელი იყო

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი I ტური. 8 ოქტომბერი

I ჯგუფი

### სლოვაკეთი 82:73 საქართველო

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი ოფიციალური მატჩი წარუმატებელი გამოდგა. 8 ოქტომბერს სლოვაკეთში ცხრა ქულით დავმარცხდით. ამ თამაშის თაობაზე ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ნოდარ ქორქიას ვესაუბრეთ:

— დაწინაურება მხოლოდ დასაწყისში შევძელით — დერიუგინმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა. ამის შემდეგ ჩვენი მეტოქეები გავიდნენ წინ და მთელი თამაში მდევრის როლში ვიყავით. სუსტად ითამაშა უკანა ხაზმა, რაც ალბათ მეტოქის დამსახურებაა. მთელი თამაშის განმავლობაში ძალზე მჭიდროდ გვეთამაშნენ. 72-დან 66 ქულა ფარქვეშ ბრძოლაში მოვიპოვეთ. თითქმის არ ვსროდით საშუალო და შორი მანძილიდან. მეორე ნახევარში სლოვაკებს დავეწიეთ კიდეც, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში ტექნიკური ჯარიმით დავისაჯეთ და მეტოქემ ერთბაშად ხუთი ქულა შეიმატა. თავდამსხმელებთან საპრეტენზიო არაფერი გვაქვს, სტეფანიამ და დერიუგინმა, შესაბამისად, 29 და 16 ქულა შესძინეს ნაკრებს. ისინი საუკეთესონი იყვნენ მოედანზე.

ბოსნია — ბელარუსი 80:59, საბერძნეთი — ისრაელი 75:73

II ჯგუფი

რუსეთი — გერმანია 98:75, ლატვია — ინგლისი 94:67, ესტონეთი — პორტუგალია 105:85

III ჯგუფი

ფინეთი — უნგრეთი 94:75, ჩეხეთი — მაკედონია 85:72, იტალია — სლოვენია 76:63

IV ჯგუფი

ბულგარეთი — პოლანდია 85:82, ხორვატია — თურქეთი 69:53, უკრაინა — რუმინეთი 93:60

V ჯგუფი

შვედეთი — პოლონეთი 64:62, ბელგია — შვეიცარია 100:62, ლიტვა — საფრანგეთი 74:87

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „ლე-ლო, ლე-ლო, სა-ქართ-ვე-ლო !“

ᲖᲔᲒᲘᲜᲓᲔᲚᲘ საერთაშორისო მატჩისადმი სამზადისში, რა თქმა უნდა, ქალაქის მერიაცა და ქვეყნის სპორტის დეპარტამენტიც ჩაებნენ, მაგრამ პრობლემათა მოგვარების ძირითადი სიმძიმე ისევ და ისევ საქართველოს რაგბის კავშირს დააწვა.

საორგანიზაციო წვრილმანების მეტი წილის გადასაჭრელად ბევრი სირბილი მოუწია რაგბის კავშირის გენერალურ მდივანს, ბატონ ᲒᲘᲕᲘ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ, რომელსაც მორაგბეები შინაურულად „გიად“ მოიხსენიებენ ხოლმე.

აი, ამ გიას ძალისხმევითა და დაჟინებით დაიბეჭდა მოხდენილი ბილეთები, აფიშები, თამაშისადმი მიძღვნილი რვაგვერდიანი პროგრამა, რომელიც „ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲛᲐ“ მოამზადა. ამის გამოა, რომ მატჩის ჩვენეულ პრეზენტაციაში საერთოდ არ მოგვიტანია სტატისტიკა, არც მეტოქე წარგვიდგენია მკითხველისათვის და არც ქართველი „შავარდნების“ სავარაუდო შემადგენლობა გამოგვიქვეყნებია. ყოველივე ამას ის, ვინც სტადიონზე მისვლას არ დაიზარებს და არც ხურდა დაენანება, უკეთ შეიტყობს პროგრამიდან, რომელშიც, პირველად ქართული სპორტული ლიტერატურის ისტორიაში, მოთამაშეები თიკუნებითაც (ანუ მეტსახელებით) არიან წარმოდგენილი.

სტუმარი გუნდისა და მსაჯების დაბინავების გარდა გენერალურ მდივანს სხვა საკითხებიც მრავლად ჰქონდა მოსაგვარებელი. მათგან უმთავრესი აქამდე ოდენ ქართული ფეხბურთის, ამიერიდან კი საზოგადოდ ქართული სპორტის ტაძრის — ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რაგბის სათამაშოდ გაწყობა იყო. ეს უბრალო რამე არ გეგონოთ. ერთი, რომ საფეხბურთო საზოგადოებრიობის მეტი წილი კვლავაც ათვალწუნებით უყურებს „კვერცხა ბურთით ბლარძუნს“ და საჯაროდ გაპკივის, რაგბი მოედანს გვიფუჭებსო. მეორეც, რაკიღა რაგბი „7დინამოზე“ 1968 წლის ზამთრის პირის მერე აღარ გამართულა, იქ მისი მოწყობის ტრადიცია და გამოცდილება ერთიანად დაიკარგა.

ფსიქოლოგიური პრობლემები იქეთ იყოს და რაგბის სათამაშოდ სტადიონის მომარჯვება იყო საკითხთა საკითხი. ერთი რომ, უნდა მოხსნილიყო ფეხბურთის კარი, მის ნაცვლად კი რაგბისა აღემართათ. ამისთვის მოედანზე უნდა გაკეთებულიყო ოთხი, ერთი მეტრის სიღრმის ხვრელი; სხვაფრივ, რაგბის ჭოკივით კარს უბრალო ქარიც კი წელში გადაამტვრევდა.

პრობლემური იყო ძელების სიმაღლის შერჩევაც: თუმც წესების თანახმად დასაშვებია, ხარიხის ზემოთ ძელები ოდენ 40 სანტიმეტრზე რომ ყელყელაობდნენ, ამგვარი კარი სადმე ფიჯის სოფელში თუ ექნებათ. სათანადო კონსულტაციების შემდეგ მიღწეულ იქნა კომპრომისი — „ეროვნულზე“ 8-მეტრიანი კარები აღიმართება, რომლის დადგმა და აღება მაინცდამაინც არ უნდა გაჭირდეს.

მნიშვნელოვანი იყო მოედნის სწორად დახაზვაც. სტადიონის მომსახურე პერსონალს გამოუცდელობით ამ საქმისა არა გაეგება რა. შესარჩევი იყო სათამაშო მოედნისა და ლელოების სიგრძეები, ასევე — მოედნის სიგანეც; ამ მხრივ არსებითი იყო ის, რომ ლელოები ბალახზე ჩატეულიყო, მოედნის კიდეებზე კი მოთამაშეთა უსაფრთხოებისათვის ბალახისავე ზოლები დარჩენილიყო.

ფეხბურთის მოედნის ნაპირზე ექვსი ალამია დასობილი, რაგბის სათამაშოდ კი ერთბაშად 14 დროშაა საჭირო. კარის ძელებს ორი მეტრი სიმაღლის დამცავი, რბილი შალითა უნდა ჰფარავდეს. ტაბლოზე თერთმეტ-თერთმეტის ნაცვლად 15-15 მოთამაშის გვარია ჩამოსაწიკწიკებელი, ლელოს გატანის შემდეგ კი „გოლი“-ს მაგივრად „ლელო“ უნდა აკიაფდეს. უეჭველია, პრობლემა იქნება ანგარიშის დათვლაც: ჩვენმა სარაგბო თემმა კონსულტანტი უნდა მიუჩინოს ტაბლოს ოპერატორს, თორემ საერთაშორისო მასშტაბით მოგვეჭრება თავი, ამან, ვთქვათ და ლელოს გატანის შემდეგ 5:0-ის მაგივრად 1:0 რომ დაწეროს.

დასაკვალიანებელი იქნება რაგბზე პირველად მისული აუდიტორიაც. სამისოდ მორაგბე გულშემატკივრებმა უნდა გამოიღონ ხელი და თამაშის არსი უცხოთ ორიოდე სიტყვით განუმარტონ — თუნდაც იმ დონეზე, ამა თუ იმ ეპიზოდში ლიანგის რეაქცია უკუღმართი რომ არ გამოვიდეს. რაც შეეხება შეძახილს, ამად ვერაფერი შეედრება „ᲚᲔ-ᲚᲝ, ᲚᲔ-ᲚᲝ, ᲡᲐ-ᲥᲐᲠᲗ-ᲕᲔ-ᲚᲝ“-ს, რომელიც თავის დროზე ოფიციოზს გულზე არ ეხატებოდა.

## ლიგა




საიუბილეო მსოფლიო თასი. ბრიტანეთი

I ქვეჯგუფი. 7.X: ინგლისი 20 (4) (4ლ, 3გ) — ავსტრალია 16 (6) (3ლ, 2გ). 8.X: ფიჯი 52 (9ლ) — სამხ. აფრიკა 6. 10.X: ავსტრალია 86 (16ლ, 11გ) — სამხ. აფრიკა 6 (ლ, გ)

II ქვეჯგუფი. 8.X: ახ. ზელანდია 25 (12) (4ლ, 4გ, ა) — ტონგა 24 (6) (4ლ, 4გ). 10.X: ტონგა 28 (20) — პაპუასეთი 28 (0)

III ქვეჯგუფი. 9.X: უელსი 28 — საფრანგეთი 6. აქვე თამაშობს სამოა

ლიგელები დამფრთხალან: რაც რაგბი გაპროფესიულდა, ცხადი შეიქნა, რომ თხუთმეტკაციანი ლალი, გუნდური ბურთაობა სანახაობათა ბაზარზე მეტად შეავიწროებს ცამეტ-ცამეტი მარტოკაცის სადა, სწორხაზობრივ ომს. ამიტომაა, საიუბილეო — რაგბიდან განდგომის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრზე ლიგა რაგბთან შედარებით საკუთარი უპირატესობის წარმოჩინებას რომ ეშურება, რაშიც მას დიდად ადგება რაგბიდან ბოლო ხუთწლეულში გადაბირებულ ზღვისრეთელთა — ფიჯელ-ტონგელ-სამოელთა იშვიათი ნიჭიერება.

ყველა ააფორიაქეს ტონგელებმა. ორი მათგანი — დიმოქი და ჰოპოატე მსოფლიოს ჩემპიონის — ავსტრალიის სახელით გამოდის. გახსნის მატჩში, რომელშიც „კენგურუები“ ინგლისის „ლომებს“ ეთამაშებოდნენ, ორივემ გამოიჩინა თავი — მწვავედ შეტევითაც და მიამიტური შეცდომებითაც. ავსტრალია 32-ე წუთზე დაწინაურდა, მერე კი სულ ინგლისი იგებდა. ჩემპიონებმა წამატებულ დროში გატანილი ლელოთი ცოტათი ღირსეულად თუ წააგეს, თორემ მოგების შანსი არცა ჰქონიათ.

სამშობლოს სახელით მოთამაშე ტონგელები 70-ე წუთისთვის 24:12 უგებდნენ მსოფლიოს მესამე გუნდს — ზელანდიას, მაგრამ „კივი“ ჯერ დაეწია მეტოქეს, ბოლო წამებზე კი მეთიუ რიჯმა არეკნიც შეაგდო. მერე ტონგას 20-ქულიანი ფორა ჰქონდა პაპუასეთთან, მაგრამ ამათ ისევ და ისევ ბოლო შეტევით გაათანაბრეს ანგარიში და ტონგა შინ გაისტუმრეს.

უელსმა კარგად მოუგო საფრანგეთს, მაგრამ შეცვლათა სათვალავი აერია, რისთვისაც კინაღამ წაგება მიუსაჯეს. ბოლოს ორგანიზატორებმა მაინც დაინდეს გუნდი და ზედმეტი შეცვლა აპატიეს, აქაო და შეცვლილ მოთამაშეს სისხლი წასკდა, ამ მიზეზით გასვლა-გამოსვლა კი რაოდენობრივად შეუზღუდავიაო.

უელსს მეორე ფათერაკიც შეემთხვა: შეჯიბრებამდე დაშავებული თვალის ბუდე კი მოურჩა მათ ლიდერ ჯონათან დევისს, მაგრამ ახლა თავი ეტკინა. რაც შეეხება დევისის რაგბში დაბრუნებას, ეს უკვე ალარავის აეჭვებს: ნამსოფლიოთასევს ეს დიდი მობურთალი გადავა „კარდიფში“, სადაც მორაგბეობისას არასოდეს უთამაშია.

# არიქა !

აპრილში, დიდი ტანჯვა-წამებით გამოცემული „რაგბის თამაშის წესების“ ქართული, „სარბიელისეული“ თარგმანი ბოლოსდაბოლოს გაიყიდება საჯაროდ: ეროვნულ სტადიონზე საქართველო — გერმანიის თამაშის სახილველად მისულ მაყურებელს შეეძლება ამ კოხტა წიგნაკის იაფად შეძენა.

ფირმა „გუმარის“ შეწევნით განხორციელებული გამოცემა საგულისხმოა იმით, რომ სხვა ტექნიკური თუ სპორტული თარგმანების ჩიქორთული ენისგან განსხვავებით მისი სტილი ერთობ დახვეწილი, ნათელი და გამართულია, რაც მავანთ დედა ენაზე უკეთ წერის შესწავლისთვის შეაგულიანებს, ლიანგს კი რაგბის ერთი შეხედვით რთული წესების საიდუმლოებაში ჩაახედებს. წიგნი დააინტერესებს ბიბლიოფილებსა და კოლექციონერებსაც.




## საქართველოს პირველობა

შუა ექვსეული

26. IX: დინამო 16 (13) (ლ, გ, ს) — აზოტი 40 (19) (6ლ, 5გ). აიეტი 6 (2ს) — რაში 5 (ლ), მაგრამ აიეტს წაგება მიესაჯა განუცხადებელი მოთამაშის მონაწილეობისთვის

27. IX: ლელო — გელათი გადაიდო გელათის თხოვნით

3. X: გელათი 50 (5ლ, 5გ, 5ს) — დინამო 0. ლელო — აიეტი არ გამართულა სტუმრების ჩამოუსვლელობის გამო; საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უფულო ქუთაისელები შეჯიბრს გამოაკლდებიან

4. X: აზოტი 53 (8ლ, 5გ, ს) — რაში 0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 4 | 4 | 0 | 0 | 169: 32 | 27- 2 | 8 |
| გელათი | 3 | 2 | 0 | 1 | 89: 20 | 8- 3 | 4 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 31: 83 | 3-12 | 4 |
| რაში | 3 | 1 | 0 | 2 | 5: 53 | 1- 8 | 1 |
| ლელო | 1 | 0 | 0 | 1 | 7: 61 | 1-11 | 0 |
| აიეტი | 4 | 0 | 0 | 4 | 18: 50 | 2- 6 | -2 |

სამხ. აფრიკის პროვინციათა პირველობა

ქარრის თასი

ბოლო, XII ტური. 7. X: ნატალი 35 — ალმ. კონცხი 6; ნარინჯი 10 — დას. კონცხი 18

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნატალი | 10 | 7 | 1 | 2 | 273:226 | 15 |
| დას. კონცხი | 10 | 7 | 0 | 3 | 260:199 | 14 |
| ჩრდ. ტრანსვლ. | 10 | 6 | 1 | 3 | 287:173 | 13 |
| ტრანსვაალი | 10 | 5 | 0 | 5 | 258:229 | 10 |
| ალმ. კონცხი | 10 | 2 | 1 | 7 | 162:302 | 5 |
| ნარინჯი | 10 | 1 | 1 | 8 | 203:320 | 3 |

ფინალი: ხვალ, 14.X, დურბანის „კინგზ პარკზე“: ნატალი — დას. კონცხი

ახ. ზელანდიის პროვინციათა პირველობა

ნახევარფინალი

7.X: ოქლენდი (ერთწრიან შეჯიბრში 1) 60 (28) (8ლ) — ჩრდ. ნავსაყუდელი (4) 26 (9) (2ლ)

8.X: სამხ. ოქლენდის საგრაფოები (2) 32 — ოთაგო (3) 41

ფინალი: კვირას, 15.X, ოქლენდის „იდენ პარკზე“: ოქლენდი — ოთაგო

# საერთაშორისო მოზაიკა

ᲥᲐᲠᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ნატალსა და დას. კონცხს ხელიდან არ გაუშვიათ შანსები და ბოლო მატჩების მოგებით ჩრდ. ტრანსვაალი ფინალს მიღმა დატოვეს. ახალი ზელანდიის პირველობის პირველ ნახევარფინალში ოქლენდმა დამაჯერებელი რევანში აიღო ხიდისგადაღმელ თანაქალაქელთან — ჩრდ. ნავსაყუდელთან წინასწარი შეჯიბრის ერთადერთი წაგებისათვის (სტუმრად — ტაკაპუნაში, 11:12), მეორე ნახევარფინალში კი ოთაგომ კვლავ და ისევ სტუმრად — პუკეკოეში სძლია ჯონა ლომუს გუნდს — საგრაფოებს. წინასწარი შეჯიბრის ბოლოსწინა ტურში ოთაგომ შინ 43:38 გაიმარჯვა, თუმც ლომუსგან ორი ლელო მიიღო, ამჯერად კი სტუმართა გარემარბმა ჯეისონ რაითმა „მარტორქა მორაგბე“ არათუ ალაგმა, გადამწყვეტი ლელო მატჩის მიწურულს თავად გაიტანა.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელობიდან გადააყენეს ბობ დვაიერი, ვისაც „ვოლაბებისთვის“ 73 ტესტში უწინამძღოლია. დვაიერს ვერ აპატიეს წელს როგორც მსოფლიო, ასევე ბლედისლოუს თასების დაკარგვა. მის ნაცვლად ნაკრებს გაწვრთნის ახალი სამხრეთი უელსის (სიდნეი) მოძღვარი გრეგ სმითი, რომელსაც ადრე სკოლის მასწავლებლადაც უმუშავია. სმითმა მყის დაიქადნა, ნაკრებს ეშხიანად ავაბურთავებო. კრიტიკოსები დვაიერს ბოლო ხანებში სწორედ რომ საპირისპიროს უკიჟინებდნენ, გუნდს ერთობ პრაგმატულად ათამაშებსო. მიუხედავად ამისა, სამშაბათსვე ცნობილი გახდა, რომ ირლანდიის რაგბის კავშირი დვაიერს თავისი ნაკრების მწვრთნელად ეპატიჟება. „ვოლაბთა“ ყოფილი მოძღვარი მარტის ბოლომდე იმუშავებს პარიზში, სადაც იქაურ „რესინგ კლუბსა“ წვრთნის, მერე კი თუ დუბლინს გადაბარგდება, ეს მსოფლიო რაგბში პირველი შემთხვევა იქნება, როცა სპეციალისტი ერთი ბობოლა ნაკრების გაწვრთნის შემდეგ მეორეს ხელმძღვანელობას მოჰკიდებს ხელს.

ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ვერც ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ მწვრთნელ ლორი მეინსის საქმე ყოფილა კარგად. მას ბრალდებოდა აწ უკვე ჩაფლავებულ პროფესიულ ცირკში, ე.წ. მსოფლიო რაგბის კორპორაციაში ნაკრების მოთამაშეთა გადაბირების მცდელობა, მაგრამ რაკიღა სარაგბო ესტაბლიშმენტის დაქცევის მსურველები დამარცხდნენ, რაგბის კავშირმა იურისტების რჩევით საქმე ჩაფარცხა — ემანდ, ისეთი რამე არ გამოაშკარავდეს, ზელანდიურ რაგბს რომ ავნებსო.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, რაგბის გაპროფესიულების კვალად მავანი ცნობილი ექს-მორაგბეები ლიგიდან რაგბში დაბრუნებას ფიქრობენ, მაგრამ პირუკუ გადასვლის მსურველებიც მოიძებნებიან. სამხრეთაფრიკელი პიტერ მულერის გზას თურმე შეიძლება დაადგნენ კრისტიან სკოლცი (ტრანსვაალი), თიაან სტრაუსი (დას. კონცხი) და მისი კანადელი თანაგუნდელი კრისტიან სთიუართი, აგრეთვე ზელანდიის „ოლ ბლექსის“ მოთამაშეები მარკ ელისი და ზინზან ბრუქი. აშკარაა, რომ ელისი და ბრუქი დიდ რაგბში ველარ ვარგიან, ამიტომ ეხიზნებიან ოქლენდის „მეომრებს“, ვინფილდის თასის ნაცვლად გაისად მერდოქის სუპერ-ლიგაში რომ ჩაებმება.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ახალმა მწვრთნელმა ჟან-კლოდ სკრელამ ათი ახალბედა შეიყვანა ნაკრებში, რომელიც არგენტინაში ახალი „ლათინთა თასისათვის“ უნდა შეებას მასპინძლებს, იტალიასა და რუმინეთს. „მამლები“ ამჯერად მოისაკლისებენ რუმას, კაბანსა და ლაკრუას, რომლებიც სამხრეთი აფრიკის ქარრის თასზე ასპარეზობენ.

ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ მალე დაიწყებს იტალია-საფრანგეთის 8-მატჩიან ტურნეს. მსოფლიო თასის შემადგენლობიდან „ოლ ბლექსმა“ დაითხოვა ელისი, სთრონი, ბეშოფი და ჯოზეფი. მიზეზი ისაა, რომ ამათ რაგბის კავშირს ხელი არ მოუწერეს კონტრაქტებზე, თამაშის გაპროფესიულების შემდეგ სავალდებულოდ რომ გამოუცხადებიათ ამ ქვეყნის რაგბის ხელისუფლებს. ზელანდიელები ფრანგებს ორ ტესტს გაუმართავენ: 11 ნოემბერს ტულუზში, 18 ნოემბერს კი — პარიზში. მანამდე, 28 ოქტომბერს ისინი ბოლონიაში ეთამაშებიან იტალიას, რომელსაც მერე სამხრეთი აფრიკაც დასდებს პატივს და ვიდრე 18 ნოემბერს ინგლისს თვიქნემში ეწვეოდეს, 11 ნოემბერს რომში ეთამაშება იტალიელებს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲡ თავი მოეჭრათ. სტეროიდების ხმარების გამო ხუთშაბათს ჩავარდა ნაკრების წევრობის კანდიდატი, ტრევიზოს „ბენეტონის“ მცველი კლაუდიო დე როსი. მას განმეორებითი სინჯის ანალიზამდე მყის მისცეს დისკვალიფიკაცია. ნირი წაუხდებოდათ მსოფლიო რაგბის მამებსაც, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს ბრიტანული მედიის განცხადება, როგორც რაგბის, ასევე ლიგის მოთამაშეები სტეროიდებს ეტანებიანო. მსოფლიო რაგბის განმგებლებმა თავიც კი მოიწონეს, წლევანდელ მსოფლიო თასზე ᲡᲝᲙ-ის ლაბორატორიამ 128 მორაგბე შეამოწმა, მაგრამ დოპინგი ერთსაც ვერ უპოვაო.

ᲛᲐᲜᲣ ᲡᲐᲛᲝᲐ ნოემბერ-დეკემბერში შოტლანდიასა და ინგლისში გამართავს 12 მატჩს, მათ შორის — თითო ტესტსაც. ნაკრების კაპიტანი კვლავაც 8 ნომერი პეტ ლემია, ძველმა კაპიტანმა, ვეტერანმა ბურჯმა პიტა ფატიალოფამ კი ზელანდიის პირველობაზე ჯონა ლომუს გუნდში — სამხრეთი ოქლენდის საგრაფოებში ისე კარგად ითამაშა, რომ ძირითად შემადგენლობაშიც დაბრუნეს და ვიცე-კაპიტნობაც უბოძეს.

ᲤᲘᲯᲘ, რომელიც წლევანდელი მსოფლიო თასის მიღმა დარჩა, უელსსა და ირლანდიას ესტუმრება. ტურნეზე წასაყვანი 27 მორაგბიდან 14 ავსტრალიის ან ზელანდიის კლუბებში თამაშობს.

## აქეთური, იქითური

პარიზში ტრიუმფალური თაღის ფლოსც მოიგო დუბაის ემირის — შეიხ მუჰამედ ალ-მაქთუმის ბედაურმა „ლამტარამ“, ვისაც იტალიელი ფრანკი დეტორი მიაქენებდა. ამით ამ ცხენმა გაახერხა იშვიათი „ტრიპლი“, რაც ჯერ ზე 24 წლის წინ რომ აღესრულა — ერთ სეზონში მოიგო „დერბიც“, „მეფე ჯორჯიცა“ და „თაღიც“.

*

ანტიგუას თავს დამტყდარმა ციკლონმა ისე მილეწ-მოლეწა იქაური კრიკეტის სტადიონი, რომ ქარზურგა კუნძულები ახალ წლამდე თამაშებს ველარ უმასპინძლებენ.

*

ატლანტის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ თუ თამაშების დროს მავან უცხოელ სპორტსმენს „შოპ-ლიფტინგში“ ანუ ჩვენებურად მაღაზიებში ხელმრუდობაში ამხელენ, გაუსამართლებლად შინ გააბუნძულებენ — აბა, სტუმრებს ციხეში ხომ არ ვუკრავთ თავსო. წლევანდელი ოლიმპიური კვირეულის დროს პარვით გამოუჩენიათ თავი ორ სომეხ მოჭიდავესა და ერთ სპარს მძლეოსანს.

*

მიგელ ინდურაინი ვერ გახდა საგზატკეცილო ველორბოლის მსოფლიო ჩემპიონი. კოლუმბიაში გამართული შეჯიბრის ბოლო დღეს, კვირას, „დიდმა მიგმა“ 265-კილომეტრიან რბოლაში მეორე ადგილი დაიჭირა. მას აჯობა თანამემამულე აბრამ ოლანომ, რომელსაც მიმომხილველები ინდურაინის მემკვიდრედ მიიჩნევენ. მარცხს მიგელისთვის ნირი არ წაუხდენია: იქვე, კოლუმბიაში დარჩა და დღე-დღეზე შეუტევს საათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდს, რომელიც შვეიცარელ ტონი რომინგერს ეკუთვნის.

*

შაბათს, ატლანტიკ-სითიში კრივის მსოფლიო საბჭოს მძიმეწონოსანმა ექს-ჩემპიონმა, ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა არასაჩემპიონო შერკინების მეექვსე რაუნდის შუაწელში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ორგანიზაციის ექს-ჩემპიონი, ამერიკელი ტონი მორისონი. ახლა ლუისის ბანაკს თავისი რჩეულის საბჭოს ჩემპიონ ფრენკ ბრუნოსთან შებმა სურს, მაგრამ მენეჯერთა მენეჯერ დონ კინგს სხვა გეგმები აქვს: ბრუნო — ტაისონის შერკინების გასამართად მეცადინეობს. ლენოქსის მომხრეები საბჭოს პრეზიდენტთან, მექსიკელ ხოსე სულეიმანთან ჩივილს აპირებენ.

*

მსოფლიოს უმრწემეს მედოპინგეს, 14 წლის სამხრეთაფრიკელ გოგოს — ლიზა დევილიერსს ამ ხუთი თვის წინ ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია კი მისცეს, მაგრამ ახლა შეჯიბრის გარეშე ტესტი აუღეს და კვლავ იმავე სტეროიდის მიღება დაუდგინეს.

*

მსოფლიოს პირველ მესჭოშეს, პაკისტანელ ჯანშირ ხანს ბრიტანეთის ლიგამ მისცა 7-თამაშიანი დისკვალიფიკაცია იმის გამო, რომ ხანმა ერთხელ უგულოდ ითამაშა. მოთამაშემ იჩივლა და სასჯელიც უმალ პირობითად იქცა.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲔᲠᲘᲐ
რედაქტორი
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲑᲠᲘᲐᲣᲚᲘ
სარედაქციო კოლეგია:
ᲑᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ
ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲐᲐᲚ ᲑᲘᲑᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲫᲕᲔᲚᲘᲐ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29